საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი. 2016 წ. №190 (8082), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

3

ბიძინა ივანიშვილმა ოთი ოოიგო!

ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ



3 ხელისუფლება, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობა ძვირად დაუჯდა

11

აშკარაა, რომ სააკაშვილი ველარ დაბრუნდება, თუმცა, მის პოლიტიკურ სიკვდილზე საუბარი ნაადრევია

5

„დრო და ადამიანები“,

გულს სიხარული აცოცხლებს...



7

საზოგადოების მატიანე სახეებში

როგორ განაწილდება 10 მილიარდ 500 მილიონი ლარი?!

6

ხუხა ქვემძრომობას განაგრძობს,

ანუ მავნე აზრებს საეჭვო პოლიტიკურ ცეცხლზე ხუხავს...

ᲐᲛ გია ხუხაშვილმა, დაგენაცვლე, ნამდვილად მოაბეზრა საზოგადოებას თავი. ყველაფერში გაურკვევლად ერკვევა. ყველაფერი იცის არაფრის ხარჯზე. ყველაფერზე თავისი უაზრო აზრი აქვს. ყველაფრით ცდილობს, რომ ხან იმესინგოს, ხან ივანგაოს, ხან ლეელაიკაკულიაოს, ხან იგიორგიცაგარლოს და ბოლოს მაინც კოდელი ნინო გამოდის.

8 ოქტომბრის არჩევნებამდე სულ სხვა პროგნოზებს აწვდიდა საზოგადოებას. „ოცნებას“ შეფარვით მარხავდა, ნაციონალებს აშკარად რაიხსტაგზე დროშის აფრიალებას უწინასწარმეტყველებდა. პოლიტიკური ტერმინოლოგიები, იცოცხლე, მთელ კარგა მოზრდილ წიგნად აქვს აკინძული ერთი ნაუცბათევი შეხედვით სოკრატეს თავის მსგავს თავში... და რომელ არხსაც ჩართავ, ყველგან მთავარი ანალიტიკოსია, ყველგან მთავარი ექსპერტია, ყველგან წინასწარმეტყველია, ყველგან მისანია, გულთმისანია, გულთამხილავია, ერთი სიტყვით, ყოვლის მცოდნე ფულიტოლოგია.

თანაც, არა მარტო ქართულ საქმეებში ერკვევა, მთელი მსოფლიო ხელისგულზე უდევს. ტრამპმა გუშინ დილით საუზმედ რა მირთვა და სტომაქმა როგორ უმუშავა, ისიც კი იცის, კლინტონის ქალი ბოლოს როდის იწვა თავის ნაადრევად მობერებულ ქმართან, მარტო წელიწადს კი არა, თვეს, დღეს და საათსაც კი გეტყვით. ის კი არა, კლინტონების ორსული ქალიშვილის გინეკლოგის ბიოგრაფიაც ზეპირად იცის.

მოდი და ამის მერე გაგიკვირდეს, ასე ზედმიწევნით როგორ ნათელმხილველობს ქართულ საქმეებში. განსაკუთრებით მაინც „ოცნების“ პოლიტიკური ბედ-იღბლის მოძრაობაშია დაოსტატებული.

სულ იცის, მაჯა როგორ უცემს ივანიშვილს, წუხელ რა სიზმარი ნახა კვირიკაშვილმა და ძილის წინ რა ურჩია პრეზიდენტ მარგველაშვილს სიბილა ფიქრია ჩიხრაძემ.

მოკლედ, მარტო მიწის ზევით კი არა, თვითონ მიწის სიღრმეში რაც ხდება, ისიც თავისი ხუთი თითივით იცის ამ დალოცვილმა.

ახლა როგორ ოსტატურად იცვლის ტაქტიკასაც და სტრატეგიასაც. სულ იმის ცდაშია, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური, თუმცა პოლიტიკურად გაწაფული მსმენელისა თუ მაყურებლის თვალში ძალიან ხშირად მწვადიც ეწვის და შამფურიც, მაგრამ ვინმემ სადმე, რომელიმე არხზე ნახეთ იხტიბარგატეხილი ხუხა?! არც გინახავთ და ვერც ნახავთ.

განსაკუთრებით „კავკასია“ მოსწონს ხუხას, აქუსთან და ჯანგირაანთ ქალთან ბრტყელ-ბრტყელი ანალიზი. აქ სადავე-მიშვებულია, ფრთებგაშლილია, ენად გაკრეფილია.

რასაკვირველია, ცალკეც შეუძლია ხუხას ნაციონალებთან ოფისში შეხვედრა და თავისი უხვი მარაგიდან 27 პროცენტის გამო საბედისწეროდ კუჭაშლილი ნაციონალებისთვის ჭკუის დარიგება, მაგრამ რატომღაც ტელეეკრანებიდან და მეტადრე „კავკასიიდან“ ამჯობინებს საკაშვილის პოლიტიკურად გაბითურებული მოძრაობის წევრებისთვის ამ მომენტისთვის ხელსაყრელი ტაქტიკისა და სტრატეგიის გაკვეთილების გადაცემას... თანაც ამას ისე ახერხებს, რომ გულუბრყვილო მსმენელმა-მაყურებელმა ვერ შეატყოს მავნე აზრების პოლიტიკურად მხუხავ ხუხას ქვემძრომული გაიძვერობა.

იხ. 2 გვ.

ვის აქვს ნაჭამი ვირის ტვინი?

არჩევნები დამთავრდა, ხმების დათვლაც დამთავრდა, მაგრამ იწილო-ბიწილო გრძელდება. სასინჯ ქვად ის იქცა, დათანხმდნენ თუ არა ნაცები || ტურში მონაწილეობას, და საერთოდ, შევიდნენ თუ არა ახლად არჩეულ პარლამენტში?

ვირის ტვინი თუ არ გაქვს ნაჭამი, დღეს როგორ უნდა დაასველო ენა, ბოიკოტი გამოვუცხადოთ პარლამენტსო!

მაგალითად, ნაცების ჩამქრალ ვარსკვლავს აკაკი მინაშვილს, სწორედ ვირის ტვინი აქვს ნაჭამი (თანაც სამისა ერთად). ნახეთ რა „რევოლუციურ“ განცხადებას აკეთებს: ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არც მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა და, საერთოდ, უარი უნდა თქვას ახალ პარლამენტში მონაწილეობაზე, რათა მსოფლიო თანამეგობრობას დავანახოთ, რა მტკიცენი, პრინციპულნი და შეურიგებელნი (წაიკითხეთ: იდიოტები) ვართ და ეს ჩვენი თანაგრძნობით გათანგული მსოფლიო თანამეგობრობა მხარს დაგვიჭერს ოლიგარქთან უთანასწორო ბრძოლაშიო!

მარტო თვალებამოციებული აკო რომ აზროვნებდეს ასე „პრაგმატულად“, ვინ რას იტყოდა, გიჟი თავისუფალია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ პარტიაში მის გარდა, ვირის ტვინნაჭამი კიდევ ბევრია, იმდენად ბევრი, რომ ოთხი დღეა სხედან და ფრჩხილებს იკვნეტენ, ყოფნა თუ არყოფნაო!

ჯერ ვერც ერთმა ვერ გაბედა ერჩია, ყოფნა, წრუწუნჯან, ყოფნაო და ამით შეეჩერებინა ეს ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, თუ სულაც ზუსტად ვიტყვით, ჭკუამიღმური განზრახვა — კიდევ ერთხელ გამოსდონ სარმა ნაცებისგან ისედაც შერყეულ ქვეყანას, კიდევ ერთხელ წაუჭირონ ყელში და დაუხშონ სასუნთქი გზა.

ნათლად ჩანს, აკო მინაშვილს და მისთანანთ ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ, მთავარია, თვითონ მოიპოვონ ვიღაცის მხარდაჭერა (საინტერესოა, ეს მხარდაჭერა საბოლოოდ რად შეიძლება, მათი აზრით, განსხეულდეს?).

რაო, საზღვარგარეთი მხარს დაგიჭერთ და როცა აჯანყებას მოაწყობთ, კრეისერებს და ზარბაზნებს მოგაწოდებთ, ლეგიონებს გადმოგისხამთ თუ რა? მაინც რას მიიღებ სასიკეთოს, შე უკეთურო აკაკი მინაშვილო? ხომ ვიცით, იმიტომ ხარ გაცოფებული, რომ შენმა თანაპარტიელებმა ამ ერთხელ მაინც გონიერება გამოიჩინეს და საარჩევნო სიაში არ შეგიყვანეს, მომავალი პარლამენტი შენისთანა ბნელეთის მოციქულისგან იხსნეს. და ახლა მთელი საქართველო მოსასრესად გინდა, უშენოდ ქვა ქვაზე არ დარჩენილა, არა?

რაკი ოთხი დღეა ბოიკოტის წინადადება ვერ მიიღეს, ალბათ, თქვენს პარტიაში რაღაც მოაზროვნენიც არიან, ვინც შენნაირად არ ფიქრობს და, რაც მთავარია, არა მხოლოდ არ ფიქრობს, არამედ ყოველმხრივ ეწინააღმდეგება კიდეც ამ შავრაზმულ აზრს.

ისე, ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიიდან გვახსოვს: სულგანათლებულმა ზვიად გამსახურდიამ პირველი პარლამენტიდან (უმაღლესი საბჭოდან) კომუნისტების 60-კაციანი დეპუტაცია გაყარა. დიახ, მოხდა არასწორი, არაკონსტიტუციური ქმედება: ისინი ხალხის მიერ, სამართლიანად არჩეულები იყვნენ, მაგრამ მაინც! მთავარი კი ის იყო, რომ ამით პარლამენტი არ დაღუპულა, მან არსებობა განაგრძო და არც თუ ცუდად იმუშავა.

გაითვალისწინეს, პატივცემულო ნაცმოძრაობავ: ისევ შენ დაზარალდები, სხვა არავინ!

ბოიკოტი არ არის ბრძოლის სწორი გზა.

კიდევ ერთი მაგალითი ისტორიიდან, უფრო შორეული. 1906 წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პირველი არჩევნები გაიმართა. მასში იმპერიის ყველა პარტია ჩაება. ბოიკოტი გამოუცხადეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა, აქაოდა, რევოლუცია მიმდინარეობს და მას მივხედოთო. არასწორი სტრატეგია გამოდგა. ვერც რევოლუციას მიხედეს (რევოლუცია დამარცხდა!) და თავიანთი ავტორიტეტიც ჩამოეშალათ!

ჰოდა, მალე მიხვდნენ, რომ დააშავეს და მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები გამოცხადდა თუ არა, თავქუდმოგლეჯილები შეცვიდნენ შიგ.

ასეთია ისტორიული ფაქტები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ ბოიკოტის მოწადინე ნაციონალებმა.

მსოფლიო მასშტაბის ქართველი ბრძენკაცი ბრძანებს, კაცი რომე თავსა ივნებს, ისე მტერი ვერას ავნებსო.

ამაზე მეტი ჭკუის საკითხავი რა შეიძლება გვქონდეს, ცოდვილო ნაცებო!

სანდრო ალექსიძე

ხუხა ქვემძრომობას განაგრძობს...

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ გაიძვერა რის გაიძვერაა, თუ ეშმაკობა და მამაძაღლობა ყველა მეორე კაცმა შეატყო. ცხადია, ხელისუფლებისთვის გაგიჟებულმა და თავზე ხელაღებულმა ნაციონალებმა უხუხაშვილოდაც იციან, როგორ უნდა განაგრძონ შემდგომი ბინძური ომი „ოცნების“ წინააღმდეგ, რათა როგორც წინა ოთხი წელიწადი სახელმწიფოებრივი მუშაობის საშუალება არ მისცენ, თუმცა ეს თვითმარქვია ვაიანალიტიკოსი რატომღაც საჭიროდ მიიჩნევს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს არჩევნებწაგებული ნაციონალების არჩევნების შემდგომი ტაქტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებაში. ამას, როგორც მეგრელები იტყვიან, რაგადი არ უნდა, ეს დღესავით ცხადია...

ისიც დღესავით ცხადია, რომ „ოცნებამ“ ერთხელ და სამუდამოდ მტკიცე უარი თქვას ყოველნაირად გამაიარაღებელ და დამღუპველ ახალ, ეგრეთ წოდებულ კოჰაბიტაციაზე და უკვე დღეიდანვე, ამ წუთიდანვე ამოწვდილი მახვილი უკან აღარ ჩააბრუნოს.

წინა ოთხი წელი ჭკუის სასწავლებელი მწარე გაკვეთილი უნდა გახდეს ნაციონალთაგან უნიათოდ და უუნაროდ მონათლული ოცნებელებისთვის, რომელთაც რბილდემოკრატიული თანარსებობა აშკარად მავნე ნაციონალებთან „ოცნებას“ კვლავ პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანს, რაც 2020 წლის არჩევნებისთვის ნამდვილად გააადვილებს ოდესიდან თბილისისკენ პოლიტიკური გვირაბის გათხრას.

ამ სამომავლო გვირაბის გამთხრელთა შორის, ხვალ და ზეგ, ალბათ, სხვებიც გამოჩნდებიან, ჯერჯერობით კი იმ მომავალ გვირაბის მთხრელთ სათავეში უდგას ეს ჩვენი თვითნასწავლი ანალიტიკოსი ხუხა, რომელსაც აშკარად გულზე არ ახატია „ოცნება“ და გაიძვერულად წითელ კოჭს უგორებს ნაციონალური მოძრაობის საცოდავ ნარჩენებს, რომელთაც, როგორც თვითონ ხუხას, ისე ამ ნარჩენებს, მოკლე ფეხებზე ჰკიდიათ სახელმწიფოც და ხალხის ბედიც. მაგათი დევიზია, უჩვენოდ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო...

თვლემის და მოდუნების დრო აღარ არის. ხუხაშვილიც და ნაციონალებიც მალევე უნდა მიხვდნენ, და არა მარტო მიხვდნენ, არამედ საკუთარ ტყავზე უნდა იგრძნონ, რომ უნიათობაც და უუნაროობაც წინა ოთხ წელიწადს გაჰყვა სამუდამოდ.

ახლა ელვარე და ლომფერი, ახალი დრო დადგა, დრო სახელმწიფოს მშენებლობისა და არა ცრუ, მავნე, გაიძვერა ოპოზიციასთანა ფუჭი შეხლა-შემოხლისა და უსაქმური კამათისა.

ცარიელი ყბედობისა და ლაქლაქის წისქვილი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაინგრეს. და ხუხაშვილისთანა უყუათო პოლიტიკურ ფქვილში ამოგანგლულმა მეწისქვილეებმა თავი უნდა დაანებონ ამ უკვე საშინლად დრომოჭმულ ხელობას!

ხუხაშვილებო და ხუხაშვილისთანებო, ნამდვილად დროა, თანაც ლომფერი, რომ ახალი, ბევრად უფრო თანამედროვე საქმე ნახოთ, თორემ ხომ გაგიგონიათ, ლაპარაკი ლაპარაკსაო, ცხენი გაჰყვა ამხანაგსაო.

და, იმ მავან ამხანაგს გაყოლილ ცხენზე ჯერჯერობით პირველ მხედრად ამ ჩვენს ძველ აზრებგახუხულ ხუხასა ვხედავ წამოსკუპებულს, რომელსაც ნაციონალების დაფლეთილი დროშა უჭირავს, იმდენად დაფლეთილი, რომ უკვე ახალამოვარდნილ ქარშიც ვეღარ აფრიალებს!

გურამ წიკლაური

ცესკომ ხმების დათვლა დაასრულა

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო უბნებზე ხმების დათვლა დაასრულა.

შედეგების თანახმად, პარლამენტში სამი პარტია შედის. ესენი არიან: ,,ქართული ოცნება,“ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ,,პატრიოტთა ალიანსი.“

ცესკოს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი დაჯამებული მონაცემებით, პროპორციულ არჩევნებში ,,ქართულმა ოცნებამ“ ხმების 48,67 %, ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი 27,11 % მიიღო.

ბარიერი გადალახა ,,პატრიოტთა ალიანსმა.“ პარტიას გუშინდელი დღის მონაცემებით, ხმათა 5, 01 % აქვს.

ხმების 4,62 % მიიღო ,,თავისუფალმა დემოკრატებმა,“ „ლეიბორისტულმა პარტიამ“ — 3,14 % , რესპუბლიკელებმა კი — 1,55 %.

ცესკოს არჩევნების საბოლოო და დაზუსტებული მონაცემების გამოსაქვეყნებლად ვადა 27 ოქტომბრამდე აქვს.

◎ არქეოლოგიური მეცნიერება

ვინა ვართ, საიდან მოვდივართ...

„აჭარის არქეოლოგიური ძეგლები“ (კვლევის შედეგები, უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები) — ეს გახლავთ 11 ოქტომბერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წევრთა და დამსწრე საზოგადოების წინაშე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ამირან კახიძის უაღრესად საგულისხმო მოხსენების თემა.

საგულისხმო, უწინარესად, იმ თვალთახედვით, რომ მოხსენება ქვეყნის ძირძველი მხარის — აჭარის — არქეოლოგიას დაფუძნებული შავი ზღვისპირეთისა და, ერთიანად უზარმაზარი სამეზობლო რეგიონის ისტორიას, მცხოვრებთა ყოფას, სხვადასხვა სფეროში შემოქმედებას, საგაჭრო ურთიერთობებს უამრავი ახალი მასალის მიმოხილვას ეხებოდა.

ამთავითვეა აღსანიშნავი, რომ ქობულეთთან ფიჭვნარისა და მთიან აჭარაში მდინარე ჭოროხის ხეობაში ძველი ნაქალაქარების ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მოღვაწეობის, არქეოლოგთა რუდუნების შედეგია.

ცხადია, რომ ანტიკური ხანის სხვადასხვა პერიოდის ბერძნულ-კოლხურ ურთიერთობათა კვლევა, რომელიც, კერძოდ, წიაღისეულის მოპოვებას, მის გამდიდრებასა და საჭიროებისამებრ გამოყენებას ეხება, უდიდესი როლი აკადემიური საზოგადოებრიობის წინაშე გამომსვლელ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დამაარსებელსა და დირექტორს ამირან კახიძეს მიუძღვის.

ამ ღირსშესანიშნავ სხდომას მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი როინ მეტრეველი უძღვებოდა. მოხსენებასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს ჩვენმა სასიქადულო მეცნიერებმა — **მარიამ ლორთქიფანიძემ, გურამ გრიგოლიამ, კიაზო ფიცხელაურმა, გურამ ლორთქიფანიძემ, ალექსანდრე ნონეშვილმა.**

ერთგვარი დასკვნის სახით კი იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველოს არქეოლოგიური მეცნიერება აღმავლობის გზაზეა, რისი საუცხოო მაგალითი ის უმდიდრესი მონაპოვარია, რომელიც კიდევ ერთხელ ასე თვალნათლივ წარმოჩნდა.

ოთარ ტურაგელიძე

ბიძინა ივანიშვილმა ომი მოიგო!

დამთავრდა არჩევნების პირველი ტური და, როგორც ყოველთვის, საქართველომ კვლავ გამოამჟღავნა თავისი უცნაური ხასიათი. თითქმის ჩამთავრდა არჩევნები და გამოკვეთილი გამარჯვებულის ნაცვლად, ფაქტობრივად, დამარცხებული „პოლიტელიტა“ მივიღეთ.

საოცარია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი დამარცხდა, საზოგადოებამ საკმაოდ კარგი შანსი მიიღო იმისა, რომ დაიწყოს ნამდვილი პოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბება. ბოლოს და ბოლოს, საქართველოში დაიწყოს პოლიტიკური კულტურის ფორმირება; უარი ეთქვას ე.წ. პარტიული კლასის ჩამოყალიბებას და დამთავრდეს უსაქმურების პოლიტიკაში „დასაქმების“ პრაქტიკა.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართული დამყაყებული პოლიტიკური სივრცის გაცოცხლება, არც მეტი და არც ნაკლები, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რადგანაც მისი ცნობილი ფრაზა, **„შუა უნდა გაიკრიფოს“** აბსოლუტურად მართალი და ზუსტი გამოსავალი იყო იმ მდგომარეობიდან, რაც საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში სუფევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფრაზას ძალიან ბევრი აკრიტიკებდა, ეწინააღმდეგებოდა, იმუქრებოდა, ამ არჩევნებმა გვაჩვენა, რომ შუა მართლაც გასაკრეფი ყოფილა და გაიკრიფა კიდეც.

იმ „პოლიტიკური ძალების“ მიმართ, რომლებიც, როგორც იტყვიან, „за бортом“ დარჩნენ, რამდენიმე შეკითხვა მაქვს:

პროპორციულ არჩევნებს რომ თავი დავანებოთ, 76 ოლქში (მთაწმინდაზე სალომე ზურაბიშვილს არ ვთვლი), ერთი ისეთი ადამიანიც ვერ დააყენეს კანდიდატად, რომ მკვლელებისა და მოძალადეების კანდიდატისთვის ეჯობნა (ახლა არ მითხრათ, გააყალბესო, ფული მისცესო და სხვა მსგავსი რაღაცები) და თუ დააყენეს, მართლაც ღირსეული და წესიერი ხალხი, მაგალითად, გია კორკოტაშვილი, ლალი მოროშკინა და ვიკა დოლიძე, რატომ არ მოახმარეს თავიანთი პარტიული რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ადამიანების გაყვანას? რატომ იყვნენ მხოლოდ კანდიდატების ავტორიტეტის და ხალხის მათდამი სიყვარულის იმედზე?

დამერწმუნეთ, რომ პარტიული რესურსი მხოლოდ ფინანსებში არ გამოიხატება. იქ სწორი პიარ-კამპანია, საარჩევნო უბნების კონტროლი, საზოგადოებასთან და კონკრეტულ ამომრჩეველთან მუდმივი კონტაქტი, საკუთარი ელექტორატის მობილიზება და ა. შ. არის სასიცოცხლოდ აუცილებელი.

რატომ იყვნენ მთელი წინასაარჩევნო კამპანიის დროს „გადართულნი“ არა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“, არამედ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ლანძღვაზე? რატომ ეგონათ, რომ მისი კრიტიკით რაიმე ქულებს მოიპოვებდნენ და რეიტინგს აიმაღლებდნენ? საზოგადოებაში (თქვენ წარმოიდგინეთ და საზოგადოების იმ ნაწილშიც კი, ვისაც ივანიშვილი არ მოსწონს), საკმაოდ დიდ გაღიზიანებას იწვევდა, პირველ რიგში, კოალიციიდან გასული პარტიების უმადურობის და შემდგომ მათი უღიმღამო პოლიტიკური ცხოვრების გამო.

ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალისხმევა საქართველოს და ქართველობის, დემოკრატიისა და ცივილიზაციის მტრის, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ მიემართათ და ამ ძალისხმევით თავიანთი უსაქმურობა და უნიათობა რაღაცით მაინც გადაეფარათ, ისეთი სულელური განცხადებების კეთება დაიწყეს, როგორიც, მაგალითად, ეროვნული ფორუმის წევრმა ანი მიროტაძემ... მან განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ გაკეთებულ საქმეებს ვერ ხედავს!

ქართველი პოლიტიკანები იმის ნაცვლად, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდში მოსახლეობის პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებისთვის ეზრუნათ, რასაც ნებისმიერი ძლიერი, კლასიკური ტიპის პარტია აკეთებდა და აკეთებს, წინასაარჩევნოდ გამოყრილ სარეკლამო რგოლებში ფრაზით, „მე ვიცი როგორ უნდა გავაკეთოთ!“, ცდილობდნენ რეიტინგის აწევას. ცდილობდნენ და არ გამოუვიდათ. არც გამოუვიდოდათ, რადგანაც ქართველი ხალხი არ არის „ივანუშკა დურაჩოკი“ და არასდროს იტყვის „по щучьему велению, по моему хотенью“ არასდროს არ იქნება ვირტუალური დაპირებების იმედზე.

კლასიკური ტიპის პარტიები ტყუილად არ ვახსენე. გავიხსენოთ, თუ როგორ მუშაობდნენ ბოლშევიკები, ნაციონალ-სოციალისტები, ბრიტანელი ლეიბორისტები თუ ევროპელი მწვანეები. ისინი ატარებდნენ შეკრებებს, უშვებდნენ საინფორმაციო გაზეთებს თუ პროკლამაციებს, ქმნიდნენ ძლიერ რეგიონულ ორგანიზაციებს, ეწეოდნენ ზეაქტიურ საგანმანათლებლო-პროპაგანდისტულ მუშაობას.

ახლა არ მითხრათ, ამ ყველაფერს ფინანსები სჭირდებაო. გეთანხმებით, რომ სჭირდება, მაგრამ სად მიდის ის თანხები, რომლებსაც ე.წ. კვალიფიციური პოლიტიკური ორგანიზაციები სახელმწიფოს ბიუჯეტიდან იღებენ? ნუთუ არ შეუძლიათ რომელიმე ახალ, ღარიბ ტელეარხზე საეთერო დრო იყიდონ და კვირაში ერთხელ ხალხს ესაუბრონ? ნუთუ არ შეუძლიათ, რომ თავიანთი მხარდამჭერების მეშვეობით, თუნდაც ოთხგვერდიანი, ყოველკვირეული გაზეთი გამოსცენ და ხალხს დაურიგონ? (გთხოვთ გაიხსენოთ ქუჩის გაზეთი „შანსი“, რომელიც სააკაშვილის ტირანიის პერიოდში საკნების აქციების დროს პირდაპირ ქუჩაში, №135 საკანში იქმნებოდა და აქციის მონაწილეებს ყოველდღე უფასოდ ურიგდებოდა).

სწორედ ამიტომაცაა, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამ უსაქმური წურბელების სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსების წინააღმდეგია.

ასევე ძალიან საინტერესო იქნებოდა, რომ პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი გუნდებიდან დაესახელებინათ იმ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა, რომელსაც ისინი გამარჯვების შემთხვევაში ქართველ ხალხს წარუდგენდნენ.

ნათლად გამოჩნდა, რომ ნაციონალებმა ფასეულობების საოცარი მეტამორფოზა მოახდინეს. მათ მრავალი სასიცოცხლო ღირებულება გააუფასურეს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ის ნაციონალური მოძრაობის წარსულზე სრულად იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას! ამ მესიჯმა, რომელიც ძალიან კარგად იყო მოფიქრებული, ნაცების სხვა ლიდერების მხრიდან პერმანენტული „დარტყმებით“, მოსახლეობის ცნობიერებაში თავისი ადგილი დაიკავა და მოხდა ასეთი მაღალი ფასეულობის სრული დეგრადირება. ყოველივე ამას მოჰყვა სიტყვა „დანაშაულის“ „შეცდომად“, ან უკეთეს შემთხვევაში, „გადაცდომად“ ჩამოფასება.

რრამდენ პარტიას შეეძლო რეალური ადამიანებით დაეკომპლექტებინა აღმასრულებელი ხელისუფლება? ორს! გაწელე-გამოწელე, სამს. მე მგონი, დამატებითი განმარტება და რაიმე კომენტარი სრულიად ზედმეტია.

სად არიან ხელისუფლებაში „უპირობოდ მომსვლელი“ პოლიტიკური ძალების მხარდამჭერები? პარტია, რომელიც 5%-ს კი არა, 1-საც ვერ გადალახავს, უნდა გაუქმდეს! რამდენიმე წლით უნდა აეკრძალოს რაიმე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღება და ამით, ის დანაგვიანებული ქართული პოლიტიკური სივრცე, რომელიც დღეს გვაქვს, საკმაოდ გაიწმინდება.

ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაც სწორედ იმაშია, რომ მან ეს ყველაფერი სააშკარაოზე გამოიტანა. მან ყველას დაანახვა, თუ რა ბალასტს წარმოადგენს ეს ე.წ. „შუა“, რომელიც ნელ-ნელა „იკრიფება“.

2000 წელს ედუარდ შევარდნაძემ უარი თქვა მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობაზე და მაშინდელი თვითმმართველობის არჩევნებში საერთოდ არ ჩაერია. შედეგად მოქალაქეთა კავშირის „გაკრეფა“ მივიღეთ. თბილისის საკრებულოში მმართველმა პარტიამ ერთი დეპუტატიც ვერ შეიყვანა და მისი 18%-იანი რეიტინგი (თუ სწორად მახსოვს), სადღაც 1.5%-ზე დავარდა.

კიდევ ერთი შეკითხვა იმათ, ვინც „შუა გაკრეფას“ ეწინააღმდეგება და ამბობს, რომ ამით პოლიტიკურ ველზე მხოლოდ ორი პარტია — „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რჩებიან.

რატომ, ბატონებო, მხოლოდ ისინი? რა, ნაცებს მეორე პოლიტიკურ ძალად ყოფნა დავით აღმაშენებლის გუჯარით ერგოთ, თუ „ქართული ოცნებაა“ უკვდავი კაშჩეი?

იხ. 4 გვ.

არჩევნები თავისუფლების დაცვით ჩატარდა

აშშ-ის საელჩო საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ულოცავს საქართველოს კონკურენტულ და კარგად ორგანიზებულ არჩევნებს, რომელიც ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის შეფასებით ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა 8 ოქტომბერს.

„აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ არჩევნები მინდინარეობდა წესრიგის დაცვით, მაგრამ ვწუხვართ, რომ დაძაბულობამ იმატა დღის განმავლობაში და ადგილი ჰქონდა რამდენიმე ძალადობრივ ინციდენტს საარჩევნო უბნებში. მტკიცედ ვგმობთ ძალადობისა და დაშინების ცალკეულ შემთხვევას და მოვუწოდებთ ყველა ამ ინციდენტის სრული და დაბალანსირებული გამოძიებისკენ კანონის უზენაესობის დაცვით“, — ნათქვამია განცხადებაში. ამასთან, განცხადების მიხედვით, ეს არჩევნები პირველი ნაბიჯია იმ პროცესში, რომელიც მოიცავს განმეორებით კენჭისყრას.

„მოვუწოდებთ ყველა პარტიასა და მათ მხარდამჭერებს, წყნარი და მშვიდობიანი გზით მიუდგნენ ამ არჩევნებს და გადაჭრან არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. ჩვენ გავაგრძელებთ პროცესის მონიტორინგს, შესაბამისად, დავაკვირდებით მომავალ საარჩევნო კამპანიასა და განმეორებით კენჭისყრას“, — ნათქვამია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

ჩუგოშვილი აშშ-ის ელჩის განცხადებას ეხმიანება

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრმა თამარ ჩუგოშვილმა იან კელის შეფასებების კომენტირებისას განაცხადა, რომ ამერიკის ელჩის იან კელის განცხადება ეხმიანება ყველა სადამკვირვებლო მისიისა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებებს, რომელმაც მოულოცა საქართველოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული იზოლირებული ინციდენტები იყო, აბსოლუტურად ყველა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ შეაფასა, როგორც თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები.

პრეზიდენტის რჩევები „ქართულ ოცნებას“

საქართველოს პრეზიდენტი მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“, კონცენტრირდეს მეორე ტურზე და ისეთი საარჩევნო დაპირებების შესრულებაზე, როგორიც არის სოციალური ვალდებულებები, დასაქმება, ეკონომიკის გაჯანსაღება, ახალი პროექტების შექმნა, — ამის შესახებ პრეზიდენტის პრესპიკერმა ეკა მიშველაძემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, რას ფიქრობს პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებზე, მათ შორის პრეზიდენტის არჩევის წესის შესაძლო ცვლილებაზე.

მისივე თქმით, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ უნდა კონცენტრირდეს ხალხზე, რომელზე ზრუნვაზეც აიღეს პასუხისმგებლობა.

ბიძინა ივანიშვილმა ომი მოიგო!

(მესამე გვერდიდან)

წაიკითხეთ წიგნები პოლიტიკური პარტიების შესახებ, ისწავლეთ, იმუშავეთ, იშრომეთ და ვინმე კეთილი ბიძიას ჯიბის შემყურე კი ნუ იქნებით, ხალხის იმედად დადექით. ხალხზე იფიქრეთ და ხალხიც დაგიჯერებთ, მაგრამ დაგიჯერებთ მაშინ, როცა დაინახავს, რომ მათი ხმები მილიონების საშოვნელად კი არ გჭირდება, არამედ იმისთვის, რომ პრობლემები გადაწყვიტო და მაშინ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სახლში კი არ დარჩება, საარჩევნო უბნებზე მივა და თავის არჩევანს გააკეთებს.

სწორედ ამ ჩვენი პოლიტიკანების უნიათობის და პოლიტიკური უმეცრების „დამსახურებაა“ ის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ 27% მიიღო.

ქართველი ამომრჩეველი ცუდ პირობებში იმყოფება. ის თავის არჩევანს არა პოლიტიკური გუნდის პროგრამის გათვალისწინებით, არამედ ერთი ლოზუნგის გამო აკეთებს. პრინციპში, დღევანდელი პოლიტიკური კულტურის გათვალისწინებით, იმ კულტურის, რაც ჩვენმა „პოლიტიკოსებმა“ დაამკვიდრეს, ასეც უნდა იყოს. ისინი თავიანთ საქმეს იადვილებენ და იმის ნაცვლად, რომ ხალხს რეალური გეგმები შესთავაზონ, როყიოდ ისვრიან წერტილოვან დაპირებებს. ხალხიც მიეჩვია და ზოგ ლოზუნგს დასცინის, ზოგსაც კი ან შიშით, ან იქნებ „გაამართლოს“ იმედით, შეჰყურებს.

„ქართულმა ოცნებამ“ მთელი თავისი საარჩევნო კამპანია ერთ მესიჯზე – მიშა მოდის! მიშა მოდის! – ააგო. მათ საკაშვილისგან საფრთხობელა შექმნეს და მიშამაც „გაუმართლათ“. სანდრას და მისი ფანატიკოსი მომხრეების განცხადებები – მიშა გვირაბს გათხრის და მაინც მოვა! უკვე რიზეშია! სარფში თათბირი ჩაატარა და მალე შემოვა! უკვე ჩამოსულია და კონსპირაციულ ბინაზე იმყოფება! – ოცნების წისქვილზე ასხამდა წყალს.

ამ მესიჯმა ჯერჯერობით იმუშავა და „ოცნებამ“ პროპორციულ არჩევნებში საკმაოდ კარგი შედეგი მიიღო. 23 მაჟორიტარიც ნორმალურია, მაგრამ რა მოხდება მეორე ტურში? მიშას ჩამოსვლის უკვე აღარავის ეშინია. მეორე ტურიც, როგორც წესი ელექტორატის საკმაოდ დიდი პასიურობით ხასიათდება. ნაციონალების ამომრჩეველი, ჯერ გაუცივებელი მკვდარიც რომ იყოს, კუბოდან ადგება და ყუთთან მივა. მოახერხებს „ოცნება“ ფორმულის „ყველა – მინუს ერთის“ ამუშავებას? მოახერხებს სხვა პარტიების ხმების კი არა, თუნდაც საკუთარი ხმების სრულ მობილიზებას?

რაც შეეხებათ ნაცებს, ისინი ძალაუფლებაზე კარგა ხანია, აღარ ფიქრობენ. მათ თავიდან მხოლოდ მეორე პოლიტიკური ძალის პოზიციის შენარჩუნება უნდოდათ და ამდენი სატელიტი პარტია იმიტომ გააკეთეს. მაგრამ სხვადასხვა კვლევების ნამდვილი შედეგების გაცნობის შემდეგ (მათ NDI-ს კვლევების ნამდვილი შედეგები, ჩვენზე უკეთ იცოდნენ), დაინახეს ხალხის ნამდვილი განწყობა და იმდენად დაიბნენ, რომ შეცდომა შეცდომაზე დაუშვეს.

ეს ყველაფერი იმ გეგმის ნაწილი იყო, რომლის განხორციელებასაც სააკაშვილი თავისი გუნდის წევრებთან ერთად სახავდა. ცხადია, რომ ამ გეგმას „გაპრავება“ სჭირდებოდა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული პროპაგანდის განყოფილება – „რუსთავი-2“, ძალისხმევას არ იშურებდა იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობისა და უცხოელი პარტნიორებისთვის წინასწარ ჩაენერგათ ინფორმაცია, რომ თითქოს ნაცებს არჩევნები მოგებული აქვთ და 8-ში ხელისუფლება მათ მიღებულ შედეგებს გააყალბებდა. ამ ნაბიჯით მათ სურდათ, თავი იმ ჩაგრულის როლში ჩაეყენებინათ, რომელსაც საკუთარი თავის და სამშობლოს ინტერესების დაცვის მეტი აღაფერი დარჩენია და კბილებით, დანებით, ჩანგლებით იბრძოლებს წართმეული დემოკრატიის მონაპოვრის დასაცავად.

„რუსთავი-2“-მა არჩევნების ღამეს საზოგადოებას შესთავაზა მათი დაქირავებული ორგანიზაციის GFK-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 32.74%, ხოლო „ქართულ ოცნებას“ 39.9% უჭერდა მხარს.

ამ სვლამ მხოლოდ რამდენიმე საათი იმუშავა და „შედეგები“ იმდენად განსხვავდებოდა რეალური სურათიდან, რომ ნაცების გეგმა ჩაიფუშა.

კიდევ ერთხელ მინდა შემოგთავაზოთ სკოლის ალგებრით დათვლილი ის პროცენტები და შედეგები, რომელიც ნაციონალური მოძრაობის რეალურ რეიტინგს აჩვენებს და რომლებსაც ყველა არჩევნების შემდეგ გთავაზობდით.

ნაციონალური მოძრაობის რეიტინგს, ყველაზე ზუსტად ცესკოს ის მონაცემები ასახავს, სადაც ამომრჩეველთა აქტივობა და შედეგებია ნაჩვენები.

აუცილებელად გასათვალისწინებელი ფაქტორია ისიც, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს თავისი ამომრჩევლის „მყარი“ რაოდენობა, რასაც სხვადასხვა არჩევნებში მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობა ადასტურებს.

ახლა მოგაწვდით ინფორმაციას და მარტივი არითმეტიკით ნახავთ რეალობას: 2013-ში საპრეზიდენტო არჩევნებზე მივიდა ამომრჩევლის 46,6% – ნაცებმა მიიღეს 21,72%. ანუ ამომრჩევლის 93,2%-ის მისვლის შემთხვევაში ისინი მიიღებდნენ 10,86%-ს. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მივიდა ამომრჩევლის 43,31%. ნაცებმა თბილისში მიიღეს 26,11%. ანუ ამომრჩევლის 86,62%-ის მისვლის შემთხვევაში, ისინი მიიღებდნენ 13,6%-ს.

ეს ციფრები მყარად დგას „დემოკრატიის სადარაჯოზე“. ასე, რომ ახალი ამერიკა არ აღმოჩენილა

შეგახსენებთ, რომ 2012-ის პირველ ოქტომბერს მივიდა ამომრჩევლის 60,8%.

ხოლო იმ ხალხზე, იმ 27%-ზე, რომლებსაც არაფრით არ სურს, დაიჯეროს ნაციონალების დაცემა და შეუძლიათ შვილმკვდარ დედას, ვიღაც ჰოლანდიელი აგენტის გამო უყვირონ, რომლებსაც შეუძლიათ, პატარა გოგონას თავში ქვა ჩაარტყან, ვიტყვი: არა მგონია, რომ მათი დეგრადაცია, მიშას „ბრალი“ იყოს. ისინი თავიდანვე გახრწნილნი იყვნენ და ყოველთვის რაღაც ისეთს გააკეთებდნენ, რაც ნორმალური ადამიანისთვის მიუღებელი იქნებოდა.

ნათლად გამოჩნდა, რომ ნაციონალებმა ფასეულობების საოცარი მეტამორფოზა მოახდინეს. მათ მრავალი სასიცოცხლო ღირებულება გააუფასურეს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ამ რამდენიმე თვის წინ დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ის ნაციონალური მოძრაობის წარსულზე სრულად იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას! ამ მესიჯმა, რომელიც ძალიან კარგად იყო მოფიქრებული, ნაცების სხვა ლიდერების მხრიდან პერმანენტული „დარტყმებით“, მოსახლეობის ცნობიერებაში თავისი ადგილი დაიკავა და მოხდა მაღალი ფასეულობის სრული დეგრადირება. ყოველივე ამას მოჰყვა სიტყვა „დანაშაულის“ „შეცდომად“, ან უკეთეს შემთხვევაში, „გადაცდომად“ ჩამოფასება.

ეს ყველაფერი საკმაოდ დიდი შეცდომები იყო, რასაც რეალური შედეგი მოჰყვა. შედეგი არა მიღებულ პროცენტებში, არამედ იმ განხეთქილებაში აისახა, რომელიც ერთ დროს ამ მონოლითურად ჩამოყალიბებულ გუნდში გაჩნდა, რამაც ამ პოლიტიკური ორგანიზაციის მომავალს რადიკალურად შეცვლის (მაგრამ ამაზე სხვა წერილში ვისაუბრებ).

ბოლოს, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებმა ძალიან დიდი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და რაც ყველაზე მთავარი იყო, ეს ყველაფერი ყოველგვარი ძალდატანების, ყოველგვარი ინიექციების გარეშე, დემოკრატიის პრინციპების სრული დაცვით მოხდა. ამ მოსაზრებას კი ამერიკის საელჩოს განცხადებიდან მცირე ამონარიდით გავამყარებ:

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ულოცავს საქართველოს კონკურენტულ და კარგად ორგანიზებულ არჩევნებს, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამინის უფლებათა ოფისის შეფასებით ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა 8 ოქტომბერს“.

ეს შეფასება, უბრალოდ, იმასაც ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა 8 ოქტომბერს ომი მოიგო!

გია გაბრიჭიძე

◎ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

ჩვენისთანა უმადური მართლაც არსად არის ერი!..

ვაკის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული 1500-მდე ამომრჩეველიდან საკუთარი პოლიტიკური ნება 900-ზე ოდნავ მეტმა ადამიანმა გამოხატა (დაახლოებით 60 პროცენტი), ხოლო მათგან მმართველ პარტიასა (პროპორციული) და მის კანდიდატს (მაჟორიტარული) მხარი, შესაბამისად, 600-მდე და 500-მდე ხმოსანმა დაუჭირა. დაგვეთანხმებით, ჩვენი მოწუწუნე და, პირდაპირ უნდა ითქვას, უმადური საზოგადოების გათვალისწინებით, შთამბეჭდავი ციფრებია.

იბადება კითხვა: მაშ, საიდან დადეს მანიაკმა მიშარასტებმა ასევე სოლიდური (რა თქმა უნდა, მათივე სისხლიანი ნაკაიკაცარის მასშტაბებით) საბოლოო 27 პროცენტი?

პასუხი ზედაპირზევე დევს – შორს რომ არ წავიდე, საკუთარ სამეზობლოზე მოგახსენებთ, რომლის გარკვეული ნაწილი სახლში დარჩა და ერთ-ერთმა ოჯახმა ამის მიზეზად რემონტი(!) დაასახელა, მუშებს ხომ ვერ მივატოვებდითო, თითქოს საარჩევნო უბნამდე არსებულ 500 მეტრს ცალ-ცალკე ვერ გივლიდნენ.

რასაკვირველია, ადვილად მიხვდებით, რომ ეს მხოლოდ საბაბია, ჭეშმარიტება კი, თუ ნიჰილიზმით მოცულ მასაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს დავუჯერებთ, ზემოთ ნახსენებ უმადურობაშია – რა გამიკეთა „ოცნებამ“ და მისმა ლიდერმაო.

მათ მოკრძალებით შევახსენებ, რომ, ჯერ ერთი, აღნიშნულმა თავკაცმა ბევრი ისეთი მამულიშვილური სიკეთე ჰქმნა, რომელსაც საერთოდ არ დაპირებია ხალხს, თანაც – პირადი ინიციატივითა და, რაც მთავარია, ჯიბით, რასაც არავინ ავალდებულებდა და ვერც ვერავინ აიძულებდა.

და მეორეც: ბინძურ ჭაობად ქცეულ პოლიტიკაში, გვინდა თუ არა, ყველა დაპირების უმოკლეს ვადაში შესრულება შეუძლებელი რომ არის, უამრავი მაგალითი ადასტურებს იმავე პროგრესული, ცივილიზებული დასავლეთის ცხოვრებიდან. ამიტომ, ვიდრე უსაფუძვლო საყვედურებზე და სხვათა დაუმსახურებელ კრიტიკაზე გადავალთ, საკუთარ თავს ვკითხოთ: ჩვენ თვითონ შევასრულეთ კი ამა თუ იმ ეტაპზე ძვირფასი პიროვნებისათვის მიცემული დაპირებები?

დაბოლოს – 2012 წლის კახეთის სტიქიის შემდეგ მიღებული დახმარებით ერთმა ჩემმა უახლოესმა ადამიანმა კარგა გვარიანად დასეტყვილი ეზოკარმიდამოს წესრიგში მოყვანის ნაცვლად როიალი შეიძინა, აქაოდა ბავშვს მუსიკალური ნიჭი აღმოაჩნდაო. ესეც იმ „მატყუარა“ მოღვაწის ბრალია?

მოკლედ, უკვე მერამდენედ დასტურდება აქსიომა: ისეთი მთავრობა გვყავს, როგორის ღირსიც ვართ.

გია პლატონიშვილი

სიამოვნებით გვექნება ურთიერთობა ვიქტორ დოლიძესთან, ვახტანგ ხმალაძესთან და ნოდარ ებანოიძესთან

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი ვიქტორ დოლიძესთან, ვახტანგ ხმალაძესთან და ნოდარ ებანოიძესთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს და აცხადებს, რომ აღნიშნულ დეპუტატებს სახელმწიფობრივ პოზიციაზე წინ არასოდეს არაფერი დაუყენებიათ. მისივე თქმით, ვიქტორ დოლიძესთან დაკავშირებით, მინისტრობაზე საუბარი არ ყოფილა.

„თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ სხვანაირი თანამშრომლობა, თუ არა მინისტრად დანიშვნა და მე გეუბნებით, რომ მნიშვნელოვანია, როცა ოპონირების რეჟიმში მყოფი პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მუშაობს პარლამენტში დ სახელმწიფო ინტერესებიდან გამოდის...კიდევ ითქვა ის, რომ თუკი იქნება სამომავლოდ ურთიერთობის შესაძლებლობა, ს იამოვნებით გვექნება ვიქტორ დოლიძესთან ურთიერთობა, ისევე როგორც მე ვფიქრობ, ვახტანგ ხმალაძესთან, ნოდარ ებანოიძესთან. არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ გადაცდნენ იმ პრინციპს, რასაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე საქმიანობა ჰქვია“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

„ქართული ოცნება“ პარლამენტში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ და „პატრიოტთა ალიანსთან“ თანამშრომლობისთვის მზადაა

შესაბამისი განცხადება ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში „ქართული ოცნების წარმომადგენელმა თამარ ჩუგოშვილმა გააკეთა.

„ვითანამშრომლებთ იმიტომ, რომ თუ ვერ ვითანამშრომლებთ, არ გადაწყდება საკითხები. მთელი 4 წლის განმავლობაში არ იყო პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა. რაღაც საკითხებზე შედგა თანამშრომლობა, სადაც დაემთხვა თემატურად პოლიტიკურ ძალებს შორის ინტერესები და სადაც საერთო ხედვები იყო, იქ შედგა გარკვეული თანამშრომლობა. იქ სადაც ვერ დაემთხვა, ვერ შედგა. იმავეს მივიღებთ ახლაც“, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

აშკარაა, რომ სააკაშვილი ველარ დაბრუნდება, თუმცა, მის პოლიტიკურ სიკვდილზე საუბარი ნაადრევია

რუსული გამოცემა „КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА“, საქართველოში გამართულ საპარლამენტო არჩევნებს სტატიით ეხმაურება. სტატიის შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხზე მოკლედ ვერ იტყვი, ეს გრძელი საუბრის თემაა, — გაიცინა საქართველოს ნამდვილმა ხელმძღვანელმა, მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა და, როგორც მომეჩვენა, რბილი, მაგრამ საყვედურიანი მზერით შემომხედა, რაც ნიშნავდა — მეგობარო, რატომ ასე პირდაპირ? სამწუხაროდ, ჩემი ჩვეულებრივი კითხვა საბედისწერო აღმოჩნდა: ბლიც-ინტერვიუ ჩაიშალა. ქვეყნის მეთაური, ალბათ, კითხვას მიხეილ სააკაშვილზე ელოდებოდა, რომელსაც საქართველოში დაბრუნება სურს. ალბათ, ივანიშვილი მიპასუხებდა, რომ მიშას მიზნები განუხორციელებელია, რომ ბრძენი ქართველი ხალხი გონებით აირჩევს და არა ემოციებით...

ბიძინა გრიგორის-ძე მიხეილ სააკაშვილის აბსოლუტურად საწინააღმდეგო პიროვნებაა. საარჩევნო უბანზე, სადაც ჟურნალისტები იყვნენ შეკრებილნი, იგი თავდაპირველად ვერც შევამჩნიე და უეცრად, ვხედავ, ჩემს გვერდით დგას. ბიძინა ივანიშვილი ოჯახით მოქალაქეთა შორის იდგა და ბიულეტენების მისაღებად თავის რიგს ელოდებოდა. მის ადგილას მიხეილ სააკაშვილი რომ ყოფილიყო, იგი მთელ შოუს მოაწყობდა — იყვირებდა, ამოიფრქვეოდა და შემდეგ ჟურნალისტ-აგენტების მთელი არმია მის ცეცხლოვან განცხადებებს გააპიარებდა.

მაგრამ მიშიკო მე არ მაინტერესებს. იმ დილით უკვე ყველამ იცოდა, რომ მისი დაპირება შავი ზღვის გადმოცურვისა და სანატრელ სამშობლოში დაბრუნების შესახებ წმინდა წყლის ბლეფი აღმოჩნდა. მისი პარტია, უბრალოდ, არჩევნებს წააგებდა. და ასეც მოხდა.

მანამდე კი ბიძინა ივანიშვილს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე კითხვა დავუსვი — „უბრალო ადამიანები ფიქრობენ, რომ რუსეთთან ურთიერთობა ეკონომიკასაც ააღორძინებს და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაშიც დაგვეხმარებაო“, — დავიწყე მე, მაგრამ მან მოკლედ მიპასუხა, „ჯერ ადრეაო“ და გამცილდა. მაინც მივაძახე: „მაგრამ რუსეთთან კავშირზე აქ მართლაც ბევრი ფიქრობს-მეთქი“.

ვცდილობ, ბიძინა ივანიშვილის პასუხი ავხსნა: როგორც ჩანს, „რუსული საკითხი“ ქართველი პოლიტიკოსებისათვის მაცდუნებელია. ერთი მხრივ, საქართველოში სულ უფრო მეტი რუსი ტურისტი ჩამოდის, ირგვლივ სულ უფრო ხშირად ისმის რუსული საუბარი (თუმცა რეგიონებში ახლაგაზრდობას რუსული ენა საერთოდ აღარ ესმის), სულ უფრო მეტი ბიზნეს-კონტაქტებია ჩრდილოელ ქვეყანასთან და ორივე ხვდება, რომ ომს მეგობრობა სჯობია.

მეორე მხრივ — საქართველო სულ უფრო იმედგაცრუებული რჩება ნატოსაგან, რომელიც თავის რიგებში თბილისის მიღებას არ ჩქარობს... მაგრამ აი, ასე, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენა პატარა საქართველოსთვის ისტორიულად უჩვეულოა, უფრო მეტი — მარტოდ დარჩენა მისთვის საფრთხის მომტანიცაა. საბოლოო ჯამში, თუ ადრე სიტყვები „პრორუსული პარტია“ სიცილს იწვევდა, ახლა პარლამენტში რამდენიმე პრორუსული პარტია აპირებს შესვლას... სხვათა შორის, „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს პირდებოდა, რომ რუსეთთან ურთიერთობებს მოაგვარებდა. ტელეეთერში რუსეთის პრობლემატიკაზე საუბრისას კორიანტელი იდგა, თუ რა კომპრომისებზე შეიძლება საქართველო წავიდეს მოსკოვის მიმართ...

მოკლედ, ცესკოს წინასწარი მონაცემებით, ერთ-ერთი პრორუსული პარტია პარლამენტში ნამდვილად იქნება „პატრიოტთა ალიანსი“. ამ პარტიის ბიჭები უკიდურესად მემარჯვენეები არიან (დღეს ევროპაში ასეთი ტრადიციაა: „რაც უფრო მემარჯვენე ხარ, მით უფრო ახლოს დგახარ კრემლთან!) და მოსკოვს თანაუგრძნობენ. ამას ყველა ადგილობრივი პოლიტოლოგი აღნიშნავს და პატრიოტებს რუსეთთან მეგობრულად განწყობილ ადამიანებად თვლიან. ჰოდა, როგორც კი ეგზიტპოლების მონაცემები გამოქვეყნდა, პატრიოტებთან წავედი მისალოცად და ვფიქრობდი, პრორუსულ ბიჭებს ჩავეხვევი-მეთქი.

აი, აქ კი მე ბიძინა ივანიშვილს გავუგე... არა, პატრიოტები ჩემგან არ გაქცეულან, მაგრამ რბილად შენიშნეს, რომ „პოლიტოლოგები პრორუსულობის იარლიყს შეცდომით გვაწებებენო“, არანაირი „პრორუსები“, „პროსომხები“ და „პროამერიკელები“ არ ვართ, ჩვენ უპირველესად პროქართულები ვართ, ქართველების ინტერესში კი რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებაა. „ჩვენ ნატოზე უარს არ ვამბობთ“, — შენიშნა „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო შტაბის უფროსმა გოჩა თევდორაძემ, — საერთოდ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ატლანტიკურ ვექტორს, მაგრამ გაურკვეველია, როდის დაგვიძახებენ, რამდენი წელი ველოდოთ — ათი, ოცი... ასეთ სიტუაციაში საჭიროა რუსეთთან პრაგმატული და მეგობრული პოლიტიკის აწყობა.

მოსახლეობის 40% დასავლეთან შედარებით უფრო აღმოსავლეთს (ანუ რუსეთს) აძლევს უპირატესობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ტერიტორიების დაბრუნებისთვის ჩვენ სუვერენიტეტის შეზღუდვაზე დავთანხმდებით. ამ დროს ზომა-წონა უნდა დავიცვათ. ზოგიერთი პარტია ხალხს თქვენი (რუსული) სამხედრო ბაზების დაბრუნებას პირდებოდა (ამ სიტყვებზე გოჩას სახე შეეჭმუხნა), ერთ-ერთმა კი, ნინო ბურჯანაძის პარტიამ, საქართველოს უბლოკო სტატუსის წინადადება წამოაყენა (არჩევნებში 3% მიიღო და პარლამენტში ვერ გავიდა — ავტ.), ჩვენ კი ურთიერთსასარგებლო ეკონომიკურ პროექტებზე ვამახვილებთ ყურადღებას. ამით აფხაზები და ოსები დაგვიახლოვდებიან...“, — ამბობს გოჩა თევდორაძე.

მე ასეთი პოზიცია გვიანდელ ვიქტორ იანუკოვიჩს მახსენებს, რომელიც ამომრჩეველს აღმოსავლეთთან მეგობრობას პირდებოდა და უკრაინას მაინც დასავლეთისაკენ ექაჩებოდა. ალბათ, ამგვარ ცბიერობაშია პატრიოტთა წარმატებისა და სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის ტრიუმფის მიზეზი, რომელიც ქართველის წინააღმდეგობრივ გრძნობებს კარგად იცნობს: ერთი მხრივ, ნამდვილად ჭეშმარიტი სახალხო სიყვარული რუსეთისადმი და მეორე მხრივ — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომელთა დაკარგვისადმი შეგუება ქართველებს არ ძალუძთ. ამიტომაც რუსეთთან კავშირებზე საუბარს საქართველოში დუმილს ამჯობინებენ.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს: როგორც უკვე ვთქვი, მიშას დაპირება — ჩამოვალ საქართველოშიო, ბლეფი აღმოჩნდა. ცხადია, მას სამშობლოში დასაბრუნებლად კიდევ დიდი და ხანგრძლივი ლოდინი მოუწევს, მაგრამ... ყოველმა მეოთხე ამომრჩეველმა ხმა „ნაციონალებს“ მისცა, მათ შორის თანამედროვე გაევროპელებულმა ახალგაზრდებმაც, რომლებიც მიშიკოსადმი სიმპათიებს გამოხატავენ. ასე რომ, მისი პოლიტიკური სიკვდილის გამოცხადება ჯერ ადრეა. უფრო მეტსაც ვიტყვი: „მეოცნებეებს“ მიხეილ სააკაშვილი... ძალიან ჭირდებათ. უიმისოდ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება შედარებით უფრო სუსტი იქნებოდა.

პარადოქსულია, მაგრამ „ნაციონალები“ დღეს რუს კომუნისტებს ჰგავნან. ისინი საუბარში ყოველ წუთს იმეორებენ, რომ „მიხეილ სააკაშვილის დროს (ჩათვალე: იოსებ სტალინის პერიოდში!), ქვეყანაში გზები და კურორტები აშენდა, კორუფცია და მექრთამეობას ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული... ახლა კი ქვეყანა გაჭიანურებულ კრიზისშია, მიშას დაწყებული ყველა მეგაპროექტი გაჩერებულია, საბიუჯეტო შემოსავლები მცირდება...“ მაგრამ როგორც კი მიშას მომხრეები პარლამენტში პირს აღებენ სალაპარაკოდ, მათ პასუხობენ: თქვე ჯალათებო, თქვე სისხლისმსმელებო, აბა, გაიხსენეთ, რამდენი ადამიანი დაიჭირეთ, რამდენი აწამეთ, რამდენი მოკალით... (იგივე ხდება რუსი კომუნისტების მიმართაც!).

მართლაცდა, რატომ უნდა მოუსმინონ ქართველებმა ასეთ „ნაციონალებს“? აი, ეს სქემა, ხელისუფლების სასიამოვნოდ, კარგად მუშაობს. „ჩვენ მივდივართ ორპარტიულ სისტემამდე, რაც „მეოცნებეებს“ აწყობთ, — ამბობს გოჩა თევდორაძე, — ეს აწყობთ აგრეთვე „ნაციონალებსაც“. არ გამიკვირდება, რომ სააკაშვილი და ივანიშვილი ხმებს იყოფდნენ — ეს შენ, ეს მე...

რას ვიზამთ, ეს საკმაოდ ორიგინალური განმარტებაა... და თან კარგი პოსტსაბჭოური შოუც.

ვლადიმირ ვორსობინი

პაოლო ალი: საქართველომ დაადასტურა, რომ არის ლიდერი დემოკრატიის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით

„კონკურენტული და კარგად ორგანიზებული არჩევნები“, — ასე აფასებენ საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლები, რომელთა შეფასებით ცალკეულმა ბრალდებებმა და ძალადობრივმა შემთხვევებმა კამპანიაზე გავლენა ვერ მოახდინა.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელის, პაოლო ალის შეფასებით საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არის ლიდერი დემოკრატიის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. მისივე შეფასებით, არჩევნების ჩატარება კიდევ ერთხელ ახალისებს მათ, ვინც მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

„ადგილი ჰქონდა გარკვეულ ხარვეზებს კამპანიის მსვლელობისას. ზოგადად, ცხადია, საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არის ლიდერი დემოკრატიის ტრანსფორმაციის კუთხით ამ რეგიონში“, — აცხადებს პაოლო ალი.

NDI-ის სადამკვირვებლო მისია პოლიტიკურ პარტიებს, ლიდერებს და აქტივისტებს მოუწოდებს, პატივი სცენ არჩევნების შედეგებს. როგორც სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ყველამ თავი უნდა აარიდოს სპეკულაციებს, რაც, შესაძლოა, ეფუძნებოდეს ეგზიტპოლების ურთიერთგამომრიცხავ შედეგებსა და ცალკეულ ინციდენტებს.

„მნიშვნელოვანია, ყველა ჩართულმა მხარემ გააანალიზოს, რომ ძალადობა არ იქნება მიღებული. ცესკომ რეაგირება უნდა მოახდინოს ყველა ლეგიტიმურ საჩივარზე, ითანამშრომლოს ყველა მომჩივანთან და უზრუნველყოს მისი სამუშაოების გამჭირვალობა, რათა გაიზარდოს საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობა“, — აცხადებენ NDI-ის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებს გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ წევრი თამარ ჩუგოშვილი, რომლის განცხადებით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ მოულოცა საქართველოს წარმატებით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები.

რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეფასებაა“, — აცხადებს თამარ ჩუგოშვილი.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ განცხადებებს ოპოზიციური პარტიების შენიშვნებთან დაკავშირებით, რომელიც ცესკოს საქმიანობის მიმართ უნდობლობის გამოცხადებას შეეხებოდა, თამარ ჩუგოშვილმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლის განცხადებიდან რამდენიმე ციტატა მოიყვანა, რომლის მიხედვით, ის იმედგაცრუებულია ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტის განცხადებით, რომლებიც არჩევნების შედეგებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რადგან არანაირი საფუძველი არჩევნების შედეგში ეჭვის შეტანის არ არსებობს.

„კენჭისყრის მიმდინარეობის, ასევე საარჩევნო პროცესის თაობაზე სადამკვირვებლო მისიების მხრიდან გამოითქვა შენიშვნები და დაფიქსირდა ხარვეზები. ძალიან ყურადღებით ვადევნებთ თვალს ამ შენიშვნებს და ვაპირებთ, რომ აუცილებლად გავითვალისწინოთ ყველა ის გამოთქმული შენიშვნა იმისთვის, რომ სამომავლოდ საარჩევნო გარემო ქვეყანაში იყოს კიდევ უფრო მაღალი ხარისხით უზრუნველყოფილი, კიდევ უფრო თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლიანი“, — აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა.

თამთა ძარჩავა

როგორ განაწილდება 10 მილიარდ 500 მილიონი ლარი?!

მომავალი წლის ბიუჯეტი არჩევნების ჩამთავრებას ელოდა...

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტმა კრიტიკა უკვე არჩევნებამდე დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ გაისად ბიუჯეტი საკმაოდ იზრდება, იგი ვერ დააკმაყოფილებს სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებს – ასე მიიჩნევენ ოპონენტები. ფინანსთა სამინისტროში კი ირწმუნებიან, რომ არჩევნების შემდეგ ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს ძირფესვიანად გადაამუშავებენ.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პროექტის მიხედვით 410 მლნ ლარით იზრდება და 10 მლრდ 555 მლნ ლარს მიაღწევს. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 9 მილიარდ 520 მილიონ ლარს, გრანტები 135 მილიონ ლარს, ხოლო კრედიტები 900 მილიონ ლარს.

როგორც ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2017 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის და მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 4% იქნება. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 4,5%-ის ფაგრლებშია მოსალოდნელი.

პროექტის თანახმად, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 მლრდ 170 მლნ ლარია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 22,3%-ს შეადგენს. დაახლოებით 450 მლნ ლარით მცირდება მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი და ის 523 მლნ ლარი იქნება, რაც ე.წ. ესტონური მოდელის ამოქმედებას უკავშირდება, ანუ 2017 წლიდან დაიბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება, რაც ამცირებს მომავალ წელს ამ გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების პროგნოზს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე განმარტავს, რომ არჩევნების შემდეგ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი მნიშვნელოვნად შეიცვლება.

„პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ჩვენ გვაქვს გარკვეული შეზღუდვები საარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებით, ცალსახად იკრძალება საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, არჩევნებამდე 60 დღით ადრე და არჩევნების შედეგების შეჯამებამდე, ყოველგვარი ახალი ინიციატივების წარმოდგენა, როგორც სოციალური გასაცემლების მიმართულებით, ასევე სხვა ახალი პროგრამების დაწყება და შეღავათების დაწესება.

სწორედ ამიტომ, ჩვენ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი მოვამზადეთ იმ მოცემულობაში, რა ვალდებულებაც ჰქონდა აღებული სახელმწიფოს საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. შესაბამისად, ყველა ეს ვალდებულება გათვალისწინებულია ბიუჯეტში და გამოყოფილია შესაბამისი თანხებიც.

რაც შეეხება ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს, დოკუმენტი საარჩევნო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვნად გადამუშავდება. გაიზრდება მისი ჯამური მოცულობა და გათვალისწინებული იქნება ბევრი სიახლე, მათ შორის, იმ პროგრამების ზრდა, რომელიც გააუმჯობესებს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალს და ტურისტულ ინფრასტრუქტურას“, – განაცხადა კაკაურიძემ.

ფინანსთა სამინისტროს ეს პოზიცია მაინცდამაინც მისაღები არ აღმოჩნდა ოპოზიციური პარტიებისთვის და სპეციალისტთა ერთი ნაწილისთვის. ეკონომისტი ბესო ნამჩევაძე ამბობს, რომ მთავრობას აქამდე 2017 წლის ეკონომიკური ზრდა 5,5%-ზე ჰქონდა გათვლილი და ბიუჯეტის პროექტის მიხედვით 1,5%-იანი კლებაა.

„ალბათ, მშპ-ს ზრდა 4%-ით უფრო რეალურია. 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უფრო ცუდია, იმიტომ რომ დეფიციტი იზრდება, ინფრასტრუქტურული ხარჯები მცირდება, ხოლო ბიუროკრატიის – მცირდება. სოციალური ხარჯები დაახლოებით 100 მილიონამდეა გაზრდილი, მაგრამ ეს არის უკვე გაზრდილი პენსიის დაფინანსება 2017 წელს.

ოპოზიცია ადმინისტრაციული ხარჯის ზრდაზე და ფუჭ დაპირებაზე ამახვილებს ყურადღებას.

„მოსახლეობა უნდა გაერკვეს, რომ დამატებითი სიკეთეები, რომელსაც „ქართული ოცნება“ მათ ჰპირდება, არ შესრულდება“, – აცხადებენ რესპუბლიკელები.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი დავით ონოფრიშვილი კი მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ ინიცირებულ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს მხარს „ქართული ოცნების“ უმრავლესობაც არ დაუჭერს.

„მე გადავხედე ბიუჯეტის პროექტს და მინდა გითხრათ, რომ ეკონომიკის ზრდა არის მხოლოდ 4% მაშინ, როცა ივნისში შემოსულ ძირითად მიმართულებებში შეთანხმებული იყო 5%-იანი ზრდა. ეს მინიმუმის მინიმუმია, რაზეც უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის ზრდა ორიენტირებული. ეჭვი მეპარება, რომ ამ ბიუჯეტს გინდაც ძველმა და გინდაც ახალმა პარლამენტმა მხარი დაუჭიროს იმიტომ, რომ არავითარი ცვლილებები არ არის.

ერთადერთი მოგების გადასახადი არის შემოსავლებში შემცირებული, რადგანაც იგი უქმდება. სხვა მხრივ, შემოსავლების ზრდა არის მინიმუმზე, ხოლო პროგრამებიც თითქმის უცვლელია“, – განაცხადა ონოფრიშვილმა.

არჩევნები შედგა. „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. ახალი პარლამენტის შეკრებამდე, ვიდრე არჩევნების საბოლოო შედეგი გამოქვეყნდება, როგორც გვპირდებიან, 2017 წლის ბიუჯეტში ბევრი რამ შეიცვლება.

ბექა დანელია

◎ **რას ემყარება საერთაშორისო ფონდის პროგნოზი?**

ველოდოთ თუ არა ცხოვრების დონის ამაღლებას?!

ექსპერტების აზრით, 2017 წელს ეკონომიკის ზრდა 5,2%-ს შეადგენს, და ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ქართველი ანალიტიკოსების აზრით, სსფ-ის ოპტიმიზმი მომავალი წლისთვის დაგეგმილი რამდენიმე მსხვილი საინვესტიციო პროექტის რეალიზების გეგმას ემყარება.

სსფ-ის წინა მოხსენება მიმდინარე წლის აპრილში გამოიცა. მასში მიმდინარე წლისთვის საქართველოს მშპ-ის 2,5%-იანი ზრდა იყო ნავარაუდევი, ხოლო 2017 წლისთვის – 4,5%-იანი. ბოლო მოხსენებაში ავტორიტეტულმა საერთაშორისო ინსტიტუტმა პროგნოზი რამდენადმე გაუმჯობესა: წელს ეკონომიკური ზრდა სავარაუდოდ, 3,2%-ს შეადგენს, ხოლო მომავალ წელს – 5,2%-ს. ამასთანავე, სსფ-ში ინფლაციის ზრდასაც ელიან: თუ წელს ფასების 2,6%-იანი ზრდაა ნავარაუდევი, 2017 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი 3,6%-ს შეადგენს.

ეკონომისტები სსფ-ის გათვლებს სრულიად რეალურად მიიჩნევენ. **ბესო ნამჩავაძე** აღნიშნავს, რომ სსფ-ის ექსპერტები საკუთარ პროგნოზებს საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით ადგენენ:

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი ემყარება საქართველოს ძირითად საგარეო სავაჭრო პარტნიორებთან ვითარების გარკვეულ სტაბილიზაციას. უნდა აღინიშნოს ასევე რიგი პოზიტიური ფაქტორები, რომელიც მომავალ წელს მოხდება. ეს არის ევრპოკავშირთან უვიზო რეჟიმის დამყარება და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღება. გარდა ამისა, მომავალ წელს საქართველოს დასავლეთში ნავთობტერმინალისა და ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნის (ღირებულება 1,5 მლრდ დოლარი), ასევე მსხვილი ჰესების მშენებლობაა დაგეგმილი. არ არის გამორიცხული, ამ უცხოურ ინვესტიციებს ასევე მოეხდინა პოზიტიური გავლენა სსფ-ის პროგნოზზე“.

ეკონომისტი **იოსებ არჩვაძე** ასევე დარწმუნებულია, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზის გაუმჯობესება 2017 წელს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ზრდის პოზიტიურ ტენდენციებს ემყარება.

„საქართველო წარმოადგენს ქვეყანას ეკონომიკის მცირე მოცულობით, ამდენად ნებისმიერ შეთანხმებას მსხვილ ინვესტორებთან შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში სახსრების დიდი ნაწილი გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, რაც ეკონომიკის განვითარებისთვის დამატებით იმპულსებს შექმნის“.

თავის მხრივ, ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** აცხადებს, რომ 5%-იანი ეკონომიკური ზრდა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე საგრძნობ დადებით გავლენას ვერ მოახდენს:

ვფიქრობ, მშპ-ის 5,2%-იანი ზრდა მისაღები მაჩვენებელია, თუმცა ეს მთავრობას თვითდამშვიდების საფუძველს არ აძლევს, რადგან მოსახლეობის კეთილდღეობის რეალური ამაღლებისთვის ეს საკმარისი არ არის. რეალურად, მსგავსი სცენარი ნიშნავს, რომ საქართველო დარჩება ღარიბ ქვეყნად ცხოვრების დაბალი დონით. დიახ, ქვეყნის განვითარებისთვის ეს შთამბეჭდავი იქნებოდა, თუმცა 14 მლრდ დოლარის მოცულობის ეკონომიკისთვის ეს უფრო ილუზორული ზრდაა. საქართველოს მაღალი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, თუმცა ხელისუფლების დაბალი კვალიფიკაცია უფრო მისაღები შედეგების მიღწევას შეუძლებელს ხდის.

EKHOKAVKAZA

◎ **რეიტინგი**

რაც უფრო მეტია კონკურენცია...

მსოფლიო ეკონომიკაში დროის კონკრეტული მონაკვეთისთვის შექმნილი ვითარების მისთვის საინტერესო კომპონენტების შესახებ ინფორმაციის მიღება ყველა დაინტერესებულ მხარეს მრავალი გამოკვლევის შედეგების გაცნობით შეუძლია, რომელსაც წინასწარ დათქმული პერიოდულობით სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია აქვეყნებს.

ერთ-ერთ ასეთ გამოკვლევას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (მეფ) შვეიცარიული არაკომერციული ფონდი 1979 წლიდან მოყოლებული აქვეყნებს და ის სხვადასხვა ქვეყანაში **კონკურენტუნარიანობის ინდექსსა** და **ბიზნეს-გარემოს ანალიზს** ეხება. აღსანიშნავია, რომ ყოველი წლის ანგარიში წინა წლის მაჩვენებლების საფუძველზე დგება. მეფ-ის ანგარიშებში ფონდის ექსპერტები თითოეულ ქვეყანაში ეკონომიკურ ვითარებას 119 ეკონომიკური კრიტერიუმით აფასებენ, რომელთა ნაწილი ეროვნული მთავრობების ოფიციალურ სტატისტიკას, ნაწილი კი, ვთქვათ კრიმინალისა და პროფესიული განათლების, სასამართლოს დამოუკიდებლობის დონეებით და ა. შ. – კერძო სექტორში ასეულობით საწარმოთა წარმომადგენლების გამოკითხვებს ეყრდნობა (ჩვენში მათ რიცხვმა ორ ასეულს გადააჭარბა).

მეფ-ის ახალ, 2016-2017 წლების გლობალური კონკურნეტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს 4,32 ქულა მიეკუთვნა, რა შედეგითაც მსოფლიოს 132 ქვეყანას შორის 59-ე ადგილი დაიკავა. ეს შედეგი გაცილებით უკეთესია ფონდის 2015-2016 წლების სარეიტინგო მაჩვენებელზე, რომლითაც საქართველო 66-ე ადგილზე იმყოფება.

„სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები, ზოგადად სტაბილურია, თუმცა კი არაერთ ქვეყანას გარკვეულ სიძნელეთა დაძლევა უწევს, რომლებიც ვალუტის კურსის მერყეობას, საქონელზე ფასების შემცირებას, რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკების რეცესიას, ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებასა და კიდევ მრავალ სხვა საშინაო თუ საგარეო ფაქტორს უკავშირდება. ეს, ბუნებრივია, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე, კერძოდ, რეგიონის ყველა ქვეყანაში (საქართველოს გარდა) ექსპორტის მოცულობა შემცირდა, რაც, თავის მხრივ, ბაზრის მასშტაბზე უარყოფითად აისახა“, – აღნიშნულია ფონდის ანგარიშში.

ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს გარდა კონკურენტუნარიანობის დონე ტაჯიკეთშიც ამაღლდა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა იქაც 2,5 პროცენტზე მეტად ამაღლდა, რაც, მართალია, ბოლო ათი წლის მანძილზე საშუალო მაჩვენებელზე უფრო დაბალია, მაგრამ უფრო მაღალია რეგიონის სხვა ქვეყნების დონეებთან შედარებით.

მეფ-ის გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე მეტად ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია **მაღალკვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, შემდეგ ფინანსურ სახსრებზე წვდომა, მაღალი ინფლაცია, არაეფექტიანი სახელმწიფო ბიუროკრატია** და სხვ.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ჩვენი უახლოესი სამეზობლოს პოზიციები ასეთია: **აზერბაიჯანს** – 37-ე ადგილი აქვს მიკუთვნებული, **რუსეთს** – 43-ე, **თურქეთს** – 55-ე, **სომხეთს** – 79-ე.

რეიტინგის ლიდერები კი არიან **შვეიცარია, სინგაპური** და ამერიკის **შეერთებული შტატები,** შემდეგ მოდიან **ნიდერლანდი** და **გერმანია.**

ოთარ მერიშვილი

◎ გამოიცა

„დრო და ადამიანები“,

საზოგადოების მატიანე სახეებში





ტევა არ იყო იმ დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის სააქტო დარბაზში, სადაც დედაქალაქის გამორჩეული საზოგადოების ერთი ნაწილი შეიკრიბა, თბილისელები ცნობილი ჟურნალისტის, მწერლისა და მხატვრის დემიკო ლოლაძის წიგნის „დრო და ადამიანის“ მესამე ნაწილის წარდგენაზე შეიკრიბა.

თბილისის თანამედროვე ისტორიის და მის შემოქმედთა ამსახველი ამ მატიანის შესახებ მოყოლა ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში სწორედ რომ შეუძლებელია, რადგან ამ წიგნების მარტო ზერელე თვალის გადავლებასაც საკმაო დრო სჭირდება. დარბაზში შეკრებილთა უმეტესი ნაწილი თავადაც წიგნის „დრო და ადამიანების“ გმირი გახლდათ – მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, ექიმები, ინჟინრები, არქიტექტორები – მოკლედ, დედაქალაქის, ერთიანად საქართველოს ღირსეული შვილები.

ფოტოალბომის „დრო და ადამიანების“ მესამე ნაწილი, წინა ორისგან განსხვავებით, ავტორმა სხვა პრინციპით დაალაგა: თუ პირველი ორი ერთგვარად პროფესიული ნიშნებით იყო გაერთიანებული, ვთქვათ, „მწერლობა“, „პოლიტიკა“, „მედიცინა“, „ჟურნალისტიკა“, „მეცნიერება, უმაღლესი სკოლა“, „სპორტი“, „ბათუმი“ და ა. შ., ახლა წიგნის არქიტექტონიკა ჩვენს სახელოვან თანამემამულეთა სახელებს და ღირსშესანიშნავ თარიღებს, ზოგიერთ გამორჩეულ მოვლენას უკავშირდება. მკითხველს მის შესახებ გარკვეული წარმოდგენა რომ შეექმნას, მარტო რამდენიმე თავის დასათაურებას ჩამოვთვლი: „ჯემალ მონიავა – 70“, „კარლო საკანდელიძე – 80“, „გივი ბერიკაშვილის სახელობის ვარსკვლავის გახსნა“, „სალომე ყანჩელის საღამო“, „გულნარა ქავთარაძის წიგნის წარდგენა“, „მალხაზ კუხალაშვილის ნამუშევრების წარდგენა“, „ვახტანგ ჭიჭინაძე – 90“, „გურანდა გაბუნიას ვარსკვლავის გახსნა“, „ნოდარ დუმბაძის ხსოვნის საღამო“, „თბილისელების შეხვედრა“, „ომარ დურმიშიძის გამოფენა“, „UEFA SUPERCUP – 2015“ და მრავალი სხვა.

„ბატონი დემიკო ლოლაძის მიერ შეგროვებული ფოტოები იმ პირთა წარმოჩენას ემსახურება, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის ისტორიაში და რომელთა ღვაწლიც, მართლაც რომ დასაფასებელია შთამომავლობის მიერ.

ღმერთმა დალოცოს წიგნის შემდგენელი და ყოველი ადამიანი, ვინც გაეცნობა ამ ალბომს“, – ერის სულიერი მოძღვრის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II-ის დალოცვის ამ სიტყვებით იწყება ეს მართლაც ღირსშესანიშნავი მატიანე.

მის წინასიტყვაობაში კი, რომელიც ავტორს, ბატონ ზაალ ბოტკოველს „მრავალსახეობა ერთგულების“ დაუსათაურებია, ასეთი სიტყვებია: **„ვისაც დემიკო ლოლაძის ორ წიგნად გამოცემული ფოტოალბომი უნახავს, სახელად „დრო და ადამიანები“ რომ ჰქვია, დამერწმუნება, რომ ეს ორწიგნეული XX საუკუნის საქართველოს ფოტომატიანეს წარმოადგენს, რომელსაც, რაც ხანი გავა, მით უფრო დიდი ფასი დაედება.**

– შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დრო და ადამიანები“ სამაგიდო წიგნებად იქცევა მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს წარსული...“

ჭეშმარიტი სიტყვებია! მათ დასტურ კიდევ უფრო ითქვა ამ მართლაც გამორჩეული ფოტოალბომის მესამე ნაწილის წარდგენისას, რა დროსაც ზოგმა გამომსვლელმა შედარებით ვრცელი სიტყვა წარმოთქვა, ზოგმა უფრო შეკვეცილად ილაპარაკა, მაგრამ მთავარი ის სითბო, სიყვარული და პატივისცემა იყო, რომელსაც ორატორები დემიკო ლოლაძის მიმართ გამოხატავდნენ. მათი სახელების და, მით უმეტეს დამსახურებისა და ღვაწლის ჩამოთვალს არ მოვყვები, ვეცდები მხოლოდ იმ სითბოსა და კეთილგანწყობის ატმოსფეროს გადმოცემას, რომელიც დარბაზში სუფევდა. წიგნის ავტორის შესახებ მეტად მოხდენილად თქვა შესავალ სიტყვაში მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, რომელიც შემდგომ პრეზენტაციას წარუძღვა: **„ამ დარბაზის კედლებს უამრავი გამორჩეული პიროვნება უნახავს, მაგრამ, პირადად მე, ასეთ თავყრილობას იშვიათად დავსწრებივარ. გასაოცარია ჯერ ერთ წიგნში ამდენი ასეთი ხალხის თავმოყრა, მერე კი მათი ერთ დარბაზში შეკრება... თუ ვინმეს აინტერესებს, ვინ ვინ არის დღესდღეობით საქართველოში, ეს წიგნი უნდა ნახოს.“**

სიტყვით გამომსვლელთაგან უკლებლივ ყველა მათგანმა ხაზგასმით აღნიშნა დემიკო ლოლაძის, როგორც ქართველი საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული წევრისა და ნიჭიერი შემოქმედის მიმზიდველობა, მისი ადამიანური და პროფესიული თვისებები, უზადო მეგობრობის ნიჭი, „დროის გამჩერებელი“ მახვილი თვალი, საზოგადოების მემატიანის უდიდესი მნიშვნელობა როგორც ქვეყნის თანამედროვე ისტორიის ღირსშესანიშნავი მოვლენების ასახვაში, ასევე თითოეული ოჯახისა თუ პიროვნების ცალკეულ ისტორიაში.

დემიკო ლოლაძე დაახლოებით ექვსი ათეული წიგნის ავტორია, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ – **„მიხეილ მესხი“, „სლავა მეტრეველი“, „ვლადიმერ ბარქაია“, „სერგო კოტრიკაძე“, „ანზორ ბაბუხადია“, „ქართული ფეხბურთის დიდგორი“, „101 ლექსი“, „ჩვენ ვნახეთ პელე, მხოლოდ 12 წუთით კი გარინჩა“,** რომელთა გამოცემა დიდებულ ქველმოქმედ პირთა ავტორის გვერდში ამოდგომით გახდა შესაძლებელი. ასეთები კი, საბედნიეროდ, დემიკო ლოლაძეს შემოქმედებით გზაზე საკმაოდ შეხვედრია, ასე იყო ამ შემთხვევაშიც – ფოტოალბომი გამოიცა ბატონ **ავთანდილ წერეთლისა** და ბატონ **ვახტანგ ვეფხვაძის** ხელშეწყობით, რომელთა მიმართ მადლიერების სიტყვები არც შეხვედრის მონაწილეებს, არც, მით უმეტეს, თავად ავტორს დაუშურებია.

ოთარ ტურაბელიძე

◎ თბილისობა – 2016

თბილის-ქალაქის დღეობა მოდის, გეპატიჟებით ყველას!..

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, წელს „თბილისობა 2016 15-16 ოქტომბერს გაიმართება. მერიამ იმ ღონისძიებათა გრაფიკი გაასაჯაროვა, რომელიც დედაქალაქში 2 დღის განმავლობაში გაიმართება:

15 ოქტომბერს 12:00 საათიდან – 19:00 საათამდე ლეღვთახევში გაიმართება მივიწყებული პროფესიების იმიტირებული მიზანსცენები (დიდგვაროვნებისა და ყარაჩოხელების კუთხე; მჭედელი, მეწაღე, მეთულუხჩე, მეაფიშე).

12:00 – 19:00 საათზე, ევროპის მოედანზე, ტოლერანტობის სკვერში მოეწყობა თბილისური ბაზარი ზურაბ შევარდნაძესთან ერთად.

12:00 – 19:00 საათზე, ევროპის მოედანზე, ღვინის აღმართთან სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის დეგუსტაცია-გამოფენა-გაყიდვა გაიმართება.

12:00 – 19:00 საათზე, რიყის პარკში სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქციისა და ნუგბარის დეგუსტაცია-გამოფენა-გაყიდვა გაიმართება.

12:00 – 19:00 საათზე, მეტეხის ხიდზე, რარიტეტული და უახლესი ავტომობილების გამოფენა გაიმართება.

12:00 – 19:00 საათამდე ევროპის მოედანზე კლასიკური მუსიკის კონცერტები გაიმართება.

12:00 – 19:00 საათზე რიყის პარკში გაიმართება რამდენიმე ღონისძიება – საბავშვო ქალაქი – მხიარული შეჯიბრებები, კომპიუტერული თამაშები, საბავშვო დისკოთეკა.

12:00 – 15:00 საათამდე „ახალი ტფილისის“ ტერიტორიაზე DJ ნაკაშიძე წარსდგება მსმენელის წინაშე.

15:00 – 16:00 საათზე მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ქალაქებთან – ნანტსა და ზაარბრუკენთან თბილისის დამეგობრების საიუბილეო წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა მოეწყობა.

16:00 – 17:00 საათზე ვაკის პარკში „შუმბა ლენდის“ გახსნა, ხოლო **17:00 – 18:00** საათზე სასტუმროში „რედისონ ბლუ ივერია თბილისი“ არქიტექტურული კონკურსის დაჯილდოება გაიმართება.

19:00 – 01:00 საათამდე ევროპის მოედანზე ახალგაზრდული კონცერტები გაიმართება, სადაც მონაწილეობას ჯგუფი „რეგიონი“, ჯგუფი „ფრანი“ და ჯგუფი „LoudSpeakers“ მიიღებენ მონაწილეობას.

19:30 – 21:30 საათზე ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრში სიმფონიური მუსიკის კონცერტი „შემოდგომის თბილისი 2016“ გაიმართება.

20:00 – 22:00 საათზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ევა იერბაბუანას წარმოდგენა ფლამენკო – „წვიმა“.

21:00 – 22:00 საათამდე ილიას ბაღში 2016 წლის „საპატიო თბილისელების“ დაჯილდოება გაიმართება.

რაც შეეხება **16 ოქტომბერს,** ასევე რამდენიმე ღონისძიება გაიმართება.

12:00 – 19:00 საათამდე „ახალი ტფილისის“ ტერიტორიაზე პანტომიმის თეატრის წარმოდგენა გაიმართება.

12:00 – 19:00 საათამდე რიყის პარკში გაიმართება სპორტული ღონისძიებები, რაგბისა და მინი გოლფის მოედანი, პარკური და კალათბურთი.

12:00 – 19.00 საათზე „ახალი ტფილისის“ ქუჩის მუსიკოსების კონცერტი, ასევე სასულე ორკესტრის მსვლელობა გაიმართება.

18:00 – 19:00 საათზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი 2016“ – ის დაჯილდოება, ხოლო **19:00 – 20:00** საათამდე „თბილისზე მზრუნველის“ დაჯილდოება გაიმართება.

19:00 – 20:30 „ახალ ტფილისში“ „თხრობა მუსიკით“ – დათო ევგენიძის აკომპანემენტით.

21:00 – 22:00 „ახალ ტფილისში“ „თბილისური ეზო“ გაიმართება, ხოლო **21:00 – 22:45** საათამდე თბილისის მეიდანზე გალაკონცერტი – „ჩემო თბილისქალაქო“ ჩატარდება.

23:00 – 01:00 საათამდე თბილელების განწყობაზე DJ GACHA იზრუნებს „ახალ ტფილისში“.

მიწის რეგისტრაციის პროცესი იოლდება

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტისა და გამარტივებული პროცედურების ამოქმედების შემდეგ, მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას მოქალაქეებისთვის ზოგიერთი ხარვეზიანი დოკუმენტი ბარიერს აღარ წარმოადგენს.

საჯარო რეესტრის სააგენტოს ცნობით, რეფორმამდე მოქალაქეები მიწის ნაკვეთს მხოლოდ იმიტომ ვერ ირეგისტრირებდნენ, რომ მათ დოკუმენტებში სახელი, გვარი შეცდომით ეწერა, ასოებში შეუსაბამობა ან უზუსტობა იყო, დოკუმენტს აუცილებელი რეკვიზიტები (ნომერი, თარიღი, მისამართი) არ ჰქონდა, მიღება-ჩაბარების აქტს სათანადო რაოდენობის უფლებამოსილ პირთა ხელმოწერა აკლდა ან ფორმის დაუცველად იყო შედგენილი, თუმცა კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. 2016 წლის 1 აგვისტოდან ეს ყველაფერი ხარვეზად აღარ ითვლება, თუ საბუთში სხვა აუცილებელი მონაცემები არის, მაგალითად, დოკუმენტის გაცემის წელი, მიწის ნაკვეთის ფართობი, ბეჭდით დამოწმებულია და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილია. ამგვარი დოკუმენტი რეგისტრაციის პროცესში სრულყოფილად ითვლება.

მოქალაქის დოკუმენტები კანონიერი ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ მათ თარიღი, ნომერი, მისამართი აკლიათ, მიღება-ჩაბარების აქტს სათანადო რაოდენობის უფლებამოსილ პირთა ხელმოწერა არ აქვს ან ფორმის დაუცველად არის შედგენილი, მაგრამ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში, ნაკვეთის მფლობელობის დასადასტურებლად მოქალაქეებს სასამართლოში წასვლა აღარ მოუწევთ, ვინაიდან რეფორმის ფარგლებში, მიუხედავად ხარვეზისა, მსგავსი დოკუმენტები რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს.

ამას გარდა, მოქალაქეს, რომელმაც წლების წინათ მიწის ნაკვეთი იყიდა, მაგრამ გარიგება მხოლოდ ზეპირად ან წერილობით, ნოტარიუსის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მიმართვის გარეშე გააფორმა, რის გამოც რეგისტრაციას ვერ ახერხებდა, ამიერიდან საშუალება აქვს, რეფორმის ფარგლებში ნოტარიუსს ან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართოს, გარიგება უფასოდ გააფორმოს და მიწის ნაკვეთიც მარტივად დაირეგისტრიროს.

„რაკია“ თიზ-ის 85%-იანი წილი სახელმწიფოს გადაეცა

„რაკიამ“ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საკონტროლო პაკეტი, 85%-იანი წილი სახელმწიფოს გადასცა.

საქართველოს მთავრობის №1901 განკარგულებაში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 491 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიამ“ გათავისუფლდეს თვითმმართველ ქალაქ ფოთის მერიასა (უფლებამონაცვლე — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ — სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ შორის 2010 წლის 25 მაისის და შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ და შპს „რაკია საქართველო თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 2011 წლის 16 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან, იმ პირობით, რომ საქართველოს სახელმწიფოს გადაეცემა საკუთრების უფლება შპს „რაკია საქართველო თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ 85%-იან წილზე და შეწყდება სს „ფოთის აეროპორტის“ 98.26% აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება“.

შესაბამისად „თიზ“-ში“ რას ალ ხაიმას საინვესტიციო ორგანოს“ წილი 15%-ია, საქართველოს სახელმწიფოსი კი — 85%-ი.

განცხადება

2016 წლის 2 დეკემბერს 12 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქუჩა №9) გაიმართება შპს „კანარგო ჯორჯიას“ ნინოწმინდის ნავთობშემკრები ბაზის ტერიტორიაზე 1000 $მ^3$ ტევადობის 2 ახალი რეზერვუარის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ნინოწმინდის ნავთობშემკრები ბაზის ტერიტორიაზე 2 ახალი 1000 $მ^3$ ტევადობის რეზერვუარის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქუჩა №9;**
- **შპს „კანარგო ჯორჯიას“ ოფისში — ქ. თბილისი, კოსტავას გამზირი №70;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ª.**

ტელ: 2 60 15 27. E-mail: j.akhvlediani@gamma.ge

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „კანარგო ჯორჯიას“ ადმინისტრაცია

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნიკოლოზ გაგნიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნიკოლოზ გაგნიძე (პ/ნ 01017040362), თბილისი, ოქროყანა, მ. გელოვანის მე-6 ჩიხი №9, ბინა №2.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, ოქროყანის დასახლება, მირზა გელოვანის მე-6 ჩიხი №9, სართული 1, ბინა №2 (საკადასტრო კოდი: 01.15.08.001.050.01.002).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28931.37 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 12 ოქტომბერი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 26 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP35579916;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 355799

6. **მოვალე:** ნიკოლოზ გაგნიძე (პ/ნ 01017040362), თბილისი, ოქროყანა, მ. გელოვანის მე-6 ჩიხი №9, ბინა №2.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP35579916; ლოტის ნომერი: 355799).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 25 ოქტომბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვენერა ჭაბუკიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვენერა ჭაბუკიანი (პ/ნ 60001024912), ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. №100.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. №100 (საკადასტრო კოდი: 03.06.03.034.01.500).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია გარდამავალი სანივთო ვალდებულება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 44701.23 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 12 ოქტომბერი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 26 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP35580516;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 355805

6. **მოვალე:** ნატალია რევიშვილი (პ/ნ 60001026363), ქუთაისი, მ. ლერმონტოვის ქ. №18.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP35580516; ლოტის ნომერი: 355805).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 25 ოქტომბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინის რეაქცია წითელი არმიის მარცხზე

კიევის დაცემის მეორე დღეს პოსკრებიშევთან შევედი, სადაც გავიგე, რომ სტალინი სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე მომხდარი კატასტროფის გამო პირდაპირ ცოფებს ყრიდა.

— ეს-ესაა შედგა ხანგრძლივი საუბარი სტალინსა და ხრუშჩოვს შორის, — თქვა პოსკრებიშევმა, — სტალინმა ხრუშჩოვს განუცხადა, რომ მისი იმ განუსჯელი ქმედების გამო რევტრიბუნალის სასამართლოზე გადაცემას იმსახურებს.

— თუმცა, ვფიქრობ, საქმე აქამდე არ მივა, — დასძინა პოსკრებიშევმა.

— ესე იგი, სტალინს ახლა ჩემი ამ დოკუმენტებისთვის არ სცალია? — ვკითხე პოსკრებიშევს, მაგრამ, ის მაშინვე უზენაესის კაბინეტში შევიდა და იქიდან გამოსულმა მითხრა:

— შედი, ოღონდ დიდხანს არ გაჩერდე.

კაბინეტში რომ შევედი, იმ მაგიდასთან დავდექი, სადაც სტალინი თავწახრილი იდგა და სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის რუკას დასჩერებოდა.

— თუ დოკუმენტი სწორად არის მომზადებული, მომეცით, ხელს მოვაწერ, — თქვა სტალინმა, წუთით შემომხედა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების პროექტის კითხვა დაიწყო.

ამ დროს შემოვიდა პოსკრებიშევი, მოახსენა, რომ ტელეფონთან მარშალი ტიმოშენკო იყო.

სტალინმა ყურმილი აიღო და ჰკითხა, როგორ მიდიოდა ჯარის უკან დახევის საქმე ახალ საზღვრებზე.

მე ზუსტად იმ მხარეს ვიდექი, საითაც სტალინს ტელეფონის ყურმილი ეჭირა და იმის გამო, რომ ტიმოშენკო თავისი რიხიანი ხმით ხმამაღლა ესაუბრებოდა, ყველაფერი თითქმის გარკვევით გავიგონე.

— ნორმალურად, — გაისმა ყურმილში მარშალ ტიმოშენკოს ხმა.

— დანაკარგი?

— უკან ბრძოლით ვიხევთ, ამიტომ არის დანაკარგი.

— არ დაუშვათ უაზრო გმირული ქმედებები, თქვენგან საკმარისია!

— არ მესმის?!

— აქ გასაგები არაფერი არ არის. თქვენგან ზოგჯერ ადგილი აქვს უაზრო გმირობისკენ სწრაფვას. გახსოვდეთ — უაზრო გმირობა არაფრის მომცემია!

— თქვენი აზრით, გამოდის, რომ მხოლოდ უაზროობის კეთება შემიძლია?!

— ო, ნუ აჭარბებთ! ეტყობა, გული ჯერ ისევ რაინდობისკენ მიგიწევთ — ტალანტები არ იკარგებიან!...

— ვატყობ, უკმაყოფილო ხართ ჩემით, — გაისმა ტიმოშენკოს დაბალი ბანი.

— ჩანს, გაღიზიანებული ხართ და თავს ვეღარ ერევით...

— რახან ასეთი ცუდი ვარ თქვენ თვალში, გთხოვთ, გადამაყენოთ პოსტიდან.

სტალინმა ყურმილი გვერდზე გასწია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ამ ეშმაკს აზრადაც არ მოსდის, რომ ისე ყვირის, ლამის დამაყრუოს... რა? გადადგომას ითხოვთ? მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენთან გადადგომას თვითონ კი არ ითხოვენ, ამას ჩვენ ვაკეთებთ.

— თუ თქვენ ასე მიგაჩნიათ, გააკეთეთ.

— ვიზამთ, როცა საჭიროდ ჩავთვლით, ახლა კი ასე ნუ ნერვიულობთ, ეს სულმდაბლობაა.

— ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო სტალინ, გავცხარდი, — თქვა ცოტაოდენი პაუზის შემდეგ გენერალმა: მან, რა თქმა უნდა, იცოდა, სტალინი ზოგჯერ მაგრად შეახურებდა თანამშრომლებს მარცხისა და დაუდევრობისათვის, ხოლო ზოგჯერ მიუთითებდა საქმეში დაშვებულ შეცდომებზე, დაეხმარებოდა შეცდომის სწრაფად გამოსწორებაში, ურჩევდა კრიტიკულად შეეხედა თავისი ნამოქმედარისთვის... მისი ეს თვისება კარგად იყო ბევრისთვის ცნობილი. მისი კრიტიკა, მისი მკვეთრი სიტყვები, მისი მწარე, ჭკუის სასწავლებელი ანდაზები, რომელთაც ის ხშირად მიმართავდა, არათუ შეურაცხყოფდა, არათუ სწყინდა გაკრიტიკებულს, არამედ შეცდომის გამოსწორებისკენ უბიძგებდა.

სტალინს ესმოდა, რომ ძალიან მძიმე, ძალიან დაძაბული დრო იყო, ადამიანებს ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდათ. იყო შემთხვევები, როცა უკიდურესობამდე გაღიზიანებული ან უმწვავესი წუთების გავლენის ქვეშ მყოფი ესა თუ ის ხელმძღვანელი, გაცეცხლებული თავს ვეღარ შეიკავებდა, სტალინი გაგებით ეკიდებოდა ასეთ „აფეთქებებს“ და ხშირად თავის სიმშვიდით ჩააცხრობდა სიბრაზისგან მდგომარეობიდან გამოსულ თანამშრომელს, მაგრამ, ზოგჯერ ის უკვე აღარ ენდობოდა ასეთებს და მაშინვე თანამდებობიდან ათავისუფლებდა.

ტიმოშენკო ცოტა რომ დამშვიდდა, მშვიდად და საქმიანად მოახსენა, ჯარი რომელ საზღვარზე გადაჰყავდა.

— როგორია იქ საქმის ვითარება, ხვალ პირადად ისევ მე მომახსენეთ, — უთხრა საუბრის ბოლოს სტალინმა.

აღელვებულმა გაიარ-გამოიარა კაბინეტში, იგრძნობოდა, რომ განიცდიდა თავის იმ მძაფრ საუბარს მარშალთან, რომლის მიმართაც ვეღარ დამალა თავისი წყენა და ბრაზი იმ მარცხის გამო. ბოლოს დადგენილების პროექტს ხელი უსიტყვოდ მოაწერა და თავი ნელა დააქნია, რაც იმას ნიშნავდა, რომ შემეძლო წავსულიყავი.

ჩემს ოთახში რომ შევედი კიდევ დიდხანს ვიყავი იმ მძიმე საუბრის შთაბეჭდილების ქვეშ, კიდევ დიდხანს ვერ დავმშვიდდი...

* * *

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს. ეს ვიაზმისა და ბრიანსკის ოპერაცია „ტაიფუნის“ პირველ პერიოდს ეხება (ოცდაათი სექტემბერი-ორი ოქტომბერი), როცა მოწინააღმდეგის მძიმე, მოულოდნელი დარტყმის შემდეგ, დასავლეთის, სარეზერვო და ბრიანსკის გაერთიანებული ფრონტების მნიშვნელოვანი ნაწილი ალყაში აღმოჩნდა.

სტალინის მისაღებში რომ შევედი, ვხედავ, პოსკრებიშევი ძალიან არის აღელვებული, ხელში ყურმილი უჭირავს და ყვირის:

— მაინც როდის მოძებნით, ეშმაკმა დალახვროს!

ამ დროს დარეკა სტალინმა.

— შედი, — გააქნია თავი სტალინის კაბინეტისკენ პოსკრებიშევმა.

კაბინეტში ხმისამოუღებლად შევედი და იქვე გავჩერდი. სტალინი სწრაფად დააბიჯებდა წინ და უკან და თანდათან სულ უფრო ღიზიანდებოდა. მოძრაობასა და სიარულზე ეტყობოდა, ძალიან იყო აღელვებული. ფრონტის გარღვევას და ჩვენი დივიზიების ალყაში მოქცევას არა მარტო განიცდიდა, არამედ ეტყობოდა, ძალიან გაკვირვებულიც იყო.

— ჩერჩეტი! — ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა, — კაცი უნდა გაგიჟდე, რომ ხელიდან ასე გაგექცეს, ვერ გაიგო... დოყლაპია!

ის სურათი არასოდეს დამავიწყდება: სტალინის შეწუხებული, ფერწასული სახე შემოდგომის სევდიანი პეიზაჟის ფონზე... ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა. ღია სარკმლიდან ცივი ჰაერი უბერავს.

მე ისევ კართან გაჩუმებული ვიდექი, რომ პოსკრებიშევი შემოვიდა და მოახსენა:

— ტელეფონთან სარდალი კონევია.

სტალინი მაგიდასთან მივიდა და ყურმილი გაბრაზებულმა აიღო.

ყურმილში მისი მრისხანე ხმა ბასრი ისრებივით მიფრინავდა სარდლისკენ. იგი მას არა მარტო ტუქსავდა, არამედ მკაცრადაც მოითხოვდა, ბოლომდე თავგამოდებით ებრძოლა და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ჯარი ალყიდან გამოეყვანა.

— მომახსენეთ ყოველ ორ საათში, თუ საჭირო იქნება, უფრო ხშირადაც. დრო ძვირფასია!

მერე დასავლეთი ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრ ნ.ა. ბულგანინს მისდგა. ბულგანინმა ახსნა დაუწყო, რამ გამოიწვია და რა იყო ამ განსაკუთრებული შემთხვევის მიზეზი. როგორც მერე ჩემთვის პირადად ბულგანინისგან გახდა ცნობილი, იმ ამბის მიზეზად იქცა ის, რომ სარეზერვო ფრონტის ხელმძღვანელობას გამორჩა მოწინააღმდეგის მიერ იუხნოვოს აღება. სარეზერვო ფრონტის სარდალმა, — მარშალმა ს.მ.ბუდიონოვიმ იუხნოვოს აღების ამბავი მხოლოდ მეორე დღეს გაიგო, ისიც ტელეფონით ბულგანინთან დალაპარაკების შემდეგ. ბულგანინმა სტალინს ისიც მოახსენა, რომ დასავლეთი ფრონტის ხელმძღვანელობის მხრიდან შეცდომებს ჰქონდა ადგილი.

სტალინმა ბულგანინს ბოლომდე მოთმინებით მოუსმინა და ცოტა რომ დამშვიდდა, ფრონტის ხელმძღვანელობას მოსთხოვა, არ დაეკარგათ არც ერთი წუთი და რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, გამოეყვანათ ჯარი ალყიდან.

შემოვიდა მოლოტოვი, სტალინმა ყურმილი დადო და ეუბნება:

— იქნებ ჯერ კიდევ შევძლოთ არმიის გადარჩენა... ჰიტლერს თავი ის მოუთმენელი მწევარი ჰგონია, რომელიც დაეწია ფრინველს და ახლა ელოდება, როდის გაისმება ნანატრი გასროლა, თუმცა სასურველ შედეგს ფიურერი ვერასოდეს ეღირსება.

მოლოტოვმა წარბი შეკრა და ისე შემომხედა, რომ მაშინვე მივხვდი, კაბინეტიდან უნდა გავსულიყავი და გავედი...

* * *

ოთხ ოქტომბერს გვიან ღამით დავურეკე ვოროშილოვს, რათა მისთვის ხმის მისაცემად მთავრობის დადგენილების ორი პროექტი გადამეცა. ყურმილში კლიმენტი ეფრემოვიჩის ხმა რომ გავიგონე, ვთხოვე, ნება მოეცა, რათა სამიოდე წუთით მასთან შევსულიყავი, ორ პროექტზე მისგან თანხმობის მისაღებად.

— უჰ, მაგის დროა ახლა! — ამოიოხრა ვოროშილოვმა.

— მაშინ მერე დაგირეკავთ.

— არა, აჯობებს ახლავე შემოდით, ცოტაოდენი დრო ჯერ კიდევ მაქვს.

კაბინეტში რომ შევედი, მაშინვე შევატყე, ძალიან აღელვებული იყო.

— ალბათ იცით, რა უბედურება გვჭირს...

— ვიცი. გერმანელებმა რამდენიმე ჩვენი არმია ალყაში მოაქციეს.

ვოროშილოვი წუთით ჩაფიქრდა და საათს დახედა:

— ორიოდე საათის შემდეგ მოლოტოვთან ერთად დასავლეთ ფრონტზე მივდივარ. ვეცდებით, გადავარჩინოთ მდგომარეობა, რაც მთავარია, ადამიანების სიცოცხლე... ამ ამბავს სტალინი ძალიან მტკივნეულად განიცდის. რა თქმა უნდა, ჩვენც. მაგრამ, იოსებ ბესარიონის ძე არასოდეს მინახავს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მაშინ იყო, როცა იმ კატასტროფის ამბავი შეიტყო. საშინლად აღგზნებული და შეძრწუნებული დიდხანს დადიოდა კაბინეტში წინ და უკან, მერე მივიდა, გენერალური შტაბის უფროსს ჰკითხა, დაამყარა თუ არა კავშირი სარდალთან. ეს კითხვა რამდენჯერმე გაუმეორა და — ჯერ არაო, — პასუხი რომ მოისმინა — მერედა, რას უზიხართ აქ ასე გულხელდაკრეფილი! — თქვა აღშფოთებულმა.

— გასაგებია ჩემთვის მისი ეს ბრაზი და მღელვარება, — დასძინა ვოროშილოვმა, — ალყაში ასეთი მრავალრიცხოვანი დაჯგუფების მოქცევა, მართლაც, უმძიმესი დარტყმაა. მაგრამ, რაც არ უნდა მძიმე იყოს მარცხი და დანაკარგი, სტალინს მაინც ვერ გატეხს, პირიქით, შექმნილი სიტუაცია ძალას კიდევ უფრო შემატებს, კიდევ უფრო აანთებს გადამწყვეტი მოქმედებისათვის... მტერი ჩქარობს, ზამთრის დადგომამდე უნდა რომ მოითავოს მოსკოვი, თუმცა, არც ჩვენი პარტია, არც ჩვენი ხალხი და არც ამხანაგი სტალინი ამას არ დაუშვებს.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157, 162, 164, 166, 174, 186

სტალინი. პირადი ცხოვრება

იაკობ ჩაღაევის მოგონებები

ჩაწერილია
გ. ა. კუმანევის მიერ

◎ ჭიდაობა

„ლომი“ ყაზახეთშიც ვერ მოათვინიერეს

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბოლატ ტურლიხანოვის მემორიალს ამჯერადაც ყაზახეთის ქალაქმა სემეიმ უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სამმა წევრმა იასპარეზა. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზაზა სილაგაძემ ტურნირზე მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონები – რამაზ ზოიძე (66), გიორგი მელია (98) და ზვიად პატარიძე (130) წაიყვანა. მასპინძლები მემორიალს მხოლოდ ოლიმპიურ წონით კატეგორიებში მართავენ და საპრიზო ფონდი საკმაოდ მაღალია – 3000, 2000 და 1000 დოლარი.


ზვიად პატარიძე

ქართველთაგან სხვებზე უკეთ ქუთაისელმა პატარიძემ იჭიდავა – ევროპელთაგან „ახალგაზრდა ლომად“ მონათლული ჩვენი ფალავანი ყაზახეთშიც ვერ მოათვინიერეს: ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ფინალამდე სამი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. ჯერ ადგილობრივ ჟალგასბაიევს აჯობა წმინდად, მერე რუსეთის ვიცე-ჩემპიონი ვიტალი შური ჩამოიცილა გზიდან, ნახევარფინალში უზბეკ მამუდ აბდულაევს სძლია ქულებით, გადამწყვეტ პაექრობაში კი ბელარუსთა ქართველი ევროპის მესამე პრიზიორი ბესიკ ჩუგოშვილი დაჯაბნა. ჩუგოშვილმა არც ამჯერად უღალატა ქართველებთან ბინძური მეთოდებით ჭიდაობას, თუმცა, პატარიძესაც არ დაუკლია ხელი. გახეთქილი წარბის მიუხედავად, ზვიადმა მეტოქეს წარმატების იოტისოდენი შანსიც არ დაუტოვა და უფროსებში პირველი ტიტული მოიპოვა.

ზოიძე და მელია კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ – შეჯიბრებას მეოთხედფინალში გამოეთიშნენ.

სამაგიეროდ, ინდოეთის ქალაქ პუნეში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირზე ორმა ქართველმა მოიპოვა ბრინჯაოს მედლები – მესამე ადგილებზე ტარიელ გაფრინდაშვილი (74) და მამუკა კორძაია (97) გავიდნენ, სულ კი იქაურ ხალიჩაზე ცხრა ქართველმა მოსინჯა ძალები. საგულისხმოა, რომ გაფრინდაშვილმა წლეულს ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზეც ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა და, კორძაიას მსგავსად, კვარცხლბეკის მესამე საფეხურს ვერც ამჯერად ასცდა.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

წყვილებში იპირველა

საძართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრმა გიორგი ცივაძემ წარმატებით იასპარეზა ყაზახური ჩიმკენტის ვაჟთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის წყვილთა შეჯიბრებაში. რუს ალექსანდრ პავლიუჩენკოვთან ერთად მან დაუბრკოლებლად გადალახა ყველა ბარიერი – ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან მასპინძლები დიას მეირბეკი და როდიონ პაკი (6:1, 6:1), მეოთხე ნომრად განთესილი მიხაილ ფუფიგინი (რუსეთი) და ვლადიმირ ივანოვი (ესტონეთი) – 7:6, 7:6, საქადათ აიარი (ყაზახეთი) და რიკარდო მაიჯა (შვეიცარია) – 6:2, 6:3, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ივან დავიდოვი (რუსეთი) და რომან ხასანოვი (ყაზახეთი) დაჯაბნა – 6:1, 6:4 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

გიორგი ცივაძე

თამაზ პატარიძე

◎ ლეგიონერი

კვეკვესკირი ვარჯიშს მალე დაიწყებს

აზერბაიჯანული „გაბალას“ ნახევარმცველი ნიკა კვეკვესკირი ვარჯიშს 14 ოქტომბერს დაიწყებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ჯერ ინდივიდუალურად მოემზადება, სრული დატვირთვები კი ნიკას დაახლოებით 20 ოქტომბრიდან შეეძლება.

24 წლის ნახევარმცველმა ერთი თვის წინათ მიიღო ტრავმა, რის გამოც ვერ მოხვდა სანაკრებო სიაში, კერძოდ, ირლანდიასთან და უელსთან მატჩები გაუცდა. 12 ნოემბერს საქართველო მოლდოვას უმასპინძლებს და, სავარაუდოდ, იმ დროისთვის კვეკვესკირი მწყობრში იქნება.

გიორგი ზოთაძე

◎ საკალათბურთო მოზაიკა

შენგელიას 11 ქულა და მარცხი ოვერტაიმში

თორნიკე შენგელიას „ბასკონია“ კატალონიაში „ბარსელონასთან“ დამატებით დროში დამარცხდა. პირველი ტაიმი ბასკურმა გუნდმა 6 ქულით წააგო, თუმცა, მეორე ზუსტად ასეთივე სხვაობით მოიგო და მატჩის ძირითადი დრო ფრედ - 84:84 დასრულდა.

დამატებით დროში ბარსელონელებმა თავისი გაიტანეს და ბასკონიელები საბოლოოდ 98:92 დაამარცხეს. შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 29 წუთი გაატარა. ქართველმა ფორვარდმა 9-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 სამიანი ჩააგდო. საბოლოოდ შენგელიამ 11 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა.

ვიტორიელთაგან 10 ქულით, 10 მოხსნით და 5 პასით საუკეთესო ადამ ჰანგა გახლდათ, ხოლო ანდრეა ბიარნიანიმ ბასკურ კლუბს 18 ქულა შესძინა. „ბარსელონაში“ 24 ქულით ჯასტინ დოლემანი გამოირჩა, 20 ქულა კი ტაირის რაისმა დააგროვა.

3 ტურის შემდეგ „ბასკონიას“ 2 მოგება აქვს. მომდევნო მატჩს შენგელიას გუნდი 16 ოქტომბერს შინ შერმადინი-ბურჯანაძის „ანდორასთან“ გამართავს.

ქართველთა „ანდორას“ მეორე მოგება

ბექა ბურჯანაძისა და გიორგი შერმადინის „ანდორამ“ ესპანეთის უმაღლეს ლიგაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ანდორელებმა ამჯერად „ხუვენტუდს“ უმასპინძლეს და 19 ქულის სხვაობით - 92:73 სძლიეს.

გიორგი შერმადინმა 19 წუთი ითამაშა და 10 ქულასთან ერთად 6 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 პასი დააგროვა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 2 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. შერმადინმა 4 ჯარიმა მიიღო, მეტოქეები კი მასზე 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

ბურჯანაძემ მოედანზე ძალიან აქტიური 11 წუთი გაატარა, რა ხნის განმავლობაშიც 3-დან 2 ორქულიანი, 5-დან 1 სამიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ბექამ საბოლოოდ 8 ქულა და 2 მოხსნა დააგროვა. ანდორელთაგან 20 ქულით დევიდ იელინეკი გამოირჩა, ხოლო 18 ქულა ნაჩო მატინმა მიითვალა.

არგენტინას მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურს

არგენტინის კალათბურთის ფედერაცია 2023 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძოლებს. აღნიშნულ ინფორმაციას sportando.com-ი **ავრცელებს.**

შეგახსენებთ, რომ 2023 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველები თურქეთი, გერმანია და ყატარიც არიან, ხოლო 2019 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ჩინეთში გაიმართება.

არგენტინაში საკალათბურთო მსოფლიოს ჩემპიონატი აქამდე ორჯერ ჩატარებულა – 1950 და 1990 წლებში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

იანამ ტრფობა უარყო

ფაქტობრივად არ დარჩა რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი, რომელზეც ჭორი არ აგორდა და რომელიც ჭორთმოყვარულებმა ულამაზეს რუს მოდელ იანა ლუჟკოვასთან არ „დააწყვილეს“. მავანთა ფანტაზიები უფრო შორსაც კი წავიდა და ბულვარული მედია იუწყებოდა, რომ ფეხბურთელები ერთმანეთს სწორედ ამ ქალის გამო დაუპირისპირდნენ.

პირში წყლისა და გულში დარდის ჩაგუბებას იანა ლუჟკოვამ საჯაროდ სიმართლის თქმა არჩია, მოიწვია მასზე ჭორის გამავრცელებელი ჟურნალისტები და განაცხადა, რომ მას გულისსწორი დღეს-დღეობით არ ჰყავს და რომც ჰყავდეს, არ აპირებს ვინმეს რაიმე ზედმეტი სათქმელი დაუტოვოს.

„ყვითელ“ მოკალმეებს იანა კი არა, ვიქტორია ადამსი ვერ აჩერებს და ამ კეკლუცი მოდელის მცდელობებიც წყლის ნაყვა იქნება, მაგრამ რაკი პირად ურთიერთობებზე საუბარი ღიად დაიწყო, შემდეგში მასზე მოგონილი ამბების დამწერს ალბათ უფრო მეტად შეაწუხებს უცნაური გრძნობა, ჩვენში სინდისს რომ ეძახიან.

როსტომ რაჭველიშვილი

„უსარგებლო“ პარალელები

3 ხელისუფლება, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობა ძვირად დაუჯდა

ისტორია მკაფიო გაკვეთილებს იძლევა. წლების განმავლობაში საქართველოში მთავრობა საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას ცდილობდა და მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთპიროვნული მმართველობა ყველა ხელისუფლებას მძიმე შედეგად უჯდებოდა, მომდევნო მმართველი პარტია იმავე გზას ირჩევდა.

ახლაც, მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ მთავარი გზავნილი წინა ხელისუფლების ერთპიროვნული მმართველობისგან გათავისუფლება იყო, ის საპარლამენტო არჩევნებს საკონსტიტუციო უმრავლესობით იგებს.

გთავაზობთ საქართველოს სამ ხელისუფლებას, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლა ძვირად დაუჯდა.

„მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“, **ზვიად გამსახურდია**:



საქართველოს თანამედროვე კონსტიტუციური ცხოვრება 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო, როცა ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია უდიდესი უმრავლესობით აირჩიეს პრეზიდენტად.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ მიიღო ხმათა 53,99% და მოიპოვა უმრავლესობა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

შედეგი: ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება სამოქალაქო ომით შეიცვალა.

„მოქალაქეთა კავშირი“, **ედუარდ შევარდნაძე**:

1995 წლიდან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანგრძლივი ეტაპი, როდესაც ნებისმიერი შინაარსის არჩევნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ორმა მთავარმა პარტიამ: „მოქალაქეთა კავშირმა“ და „აღორძინების კავშირმა“. უმრავლესობის პულტებს სწორედ ეს ორი პარტია ფლობდა – ხან ერთად, ხან კი ცალ-ცალკე. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში „მოქალაქეთა კავშირმა“ და „აღორძინების კავშირმა“ ერთიანი უმრავლესობა შექმნეს. 1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ინიციატივას „აღორძინება“ დაეუფლა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში შევარდნაძის პარტიამ რევანში აიღო, ლამის საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიმარჯვა და უმცირესობაში , ამჯერად , „აღორძინება“ დატოვა.



შედეგი: „მოქალაქეთა კავშირი“ და მისი ლიდერი ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებას რევოლუციური გზით ჩამოაშორეს.

„ნაციონალური მოძრაობა“, **მიხეილ სააკაშვილი**:

2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბლოკმა „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა ხმათა 66,2%-ით.

ამ დროს პარტიის პოპულარობის პიკი იყო. ამავე დროს ერთ პარტიად გაერთიანდნენ „ნაციონალური მოძრაობა“ და „თავისუფალი დემოკრატები“. 2004 წელს კვლავ განიცადა სარეგისტრაციო ცვლილება, ძველი პარტია ამორიცხულ იქნა რეესტრიდან და ხელხლა დარეგისტრირდა. იმავე წლის გაზაფხულზე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობა შეწყვიტეს ადრინდელმა პარტნიორებმა: „კონსერვატორებმა“ და „რესპუბლიკელებმა“. ამას ხელი არ შეუშლია „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მოეგო 2005 წლის შუალედური არჩევნები ხუთივე საარჩევნო ოლქში და მოეგო 2006 წლის ადგილობრივი არჩევნები. პარტიამ მთელი საქართველოს მასშტაბით მიიღო ხმათა დაახლოებით 60% და მოიპოვა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში.

შედეგი: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლება მომავალ მთავრობას არჩევნებში მძიმე დამარცხებით გადააბარა და პარტიის რამდენიმე ლიდერი სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდებით პატიმრობაშია, ან იძებნება.

„ქართული ოცნება“, **გიორგი კვირიკაშვილი**:

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მმართველ პარტიას დიდი შანსი აქვს, პირველადი შედეგებით, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს... მაჟორიტარების არჩევნების მეორე ტური გადაწყვეტს, იქნება თუ არა „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით.

შედეგი?

იმედია, ქართველი ერის ისტორიაში ყველაზე დიდი ძველმოძმედი და ბინძური პოლიტიკის დაუძინებელი მტერი ბიძინა ივანიშვილი, „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად, მთელი შეგნებით გაითვალისწინებს უახლესი ისტორიის მწარე გაკვეთილებს!

მანა ნოდია

გამოსათხოვარი

მეუღლე თათა ქაჩიბაია, შვილები თორნიკე, ლაშა ნიკოლაიშვილები, მშობლები ეთერი, ჯუმბერი, და ნანა ნიკოლაიშვილი, დისწულები სალომე, ელენე, ელისო კასრაძეები, ბიძები ვახტანგ, თეიმურაზ ვეფხვაძეები, დეიდები ნაზი, ნუნუ ზამთარაძეები, სიმამრი გიორგი ქაჩიბაია ოჯახით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთო ნიკოლაიშვილი

პანაშვიდი 12 X, მისამართი: ფალიაშვილის 6, მე-2 სადარბაზო, მე-11 სართული. გამოსვენება 13 X 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 33, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია (სამედიცინო უნივერსიტეტთან).

ვახტანგ, თეიმურაზ ვეფხვაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძმისწულის

ავთო ნიკოლაიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტრაგედია თუშეთის გზაზე

თუშეთის გზაზე, თორღვას აბანოს მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომობილი, რომლითაც ტურისტები ბარში ბრუნდებოდნენ, 60 მეტრის სიმაღლიდან ხრამში გადავარდა, შედეგად ორი მცირეწლოვანი დაიღუპა, საავადმყოფოში არიან გადაყვანილი მათი მშობლები. გარდაცვლილებისა და დაშავებულების ამოსაყვანად სამაშველო სამსახურმა იმუშავა. სამაშველო სამუშაოების დროს დაშავდა საგანგებო სიტუაციების

მართვის სააგენტოს ერთი თანამშრომელიც, რომელიც თელავის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

გარდაცვლილი ახალშობილი ტუალეტში იპოვეს

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიაში გარდაცვლილი ახალშობილი ტუალეტში იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, 40 წლამდე ასაკის ქალმა სახლში იმშობიარა, ახალშობილი კი, სავარაუდოდ, საპირფარეშოში ჩააგდო. ქალი ამჟამად მშობიარობის შემდგომი გართულებებით საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მეზობლების ინფორმაციით, მას სამი შვილი ჰყავს, მეუღლე კი, რამდენიმე წლის წინათ გარდაეცვალა.

მკვლელობა ვარკეთილში

ვარკეთილში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად 35 წლის მამაკაცი მოკლეს, ხოლო მისი ძმა მძიმედ დაჭრეს.

შსს-მ გამოძიება სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას და იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. უწყების ცნობით, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ამასთან, დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო ერთი პირი დააკავეს.

ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის 384-მა ახალწვეულმა თბილისში, გორსა და ქუთაისში სამხედრო ფიცი დადო.

ფიცის დადების ცერემონიალს შს მინისტრის მოადგილე მერაბ მალანია, ობიექტების დაცვის დეპარტამენტის დირექტორი ივანე ზურაბაშვილი, დეპარტამენტის თანამშრომლები და ახალწვეულთა ოჯახის წევრები დაესწრნენ.

ახალწვეულები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს შსს-ს ობიექტების დაცვის დეპარტამენტში გაივლიან. ისინი სამხედრო საქმეს შეისწავლიან და პროფესიონალი ჯარისკაცისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს შეიძენენ, უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამედიცინო მომსახურებით, უფასო კვებით და ისარგებლებენ მოკლევადიანი შვებულებით, ასევე, მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში.

ნავებით ნურიგელის ტბაზე

ბათუმში, პარკში არსებულ ტბაში აერაციის სისტემის მონტაჟის შემდეგ მერია ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაზეც იწყებს ზრუნვას. როგორც ბათუმის მერიაში განმარტავენ, ტურისტების მისაზიდად და მათთვის შესაბამისი სერვისის შესაქმნელად ნურიგელის ტბაზე ელექტრონული ნავების სერვისის ამოქმედება იგეგმება. სწორედ ამ მიზნით, მომავალ კვირაში მერია აუქციონს გამოაცხადებს და ამ გზით შეარჩევს კომპანიას, რომელიც ტბაზე შესაბამის სერვისს შექმნის.

წინასწარი გათვლებით, აუქციონში გამარჯვებული კომპანია ტბაზე 4 ელექტრონული ნავის გაშვებას უზრუნველყოფს, რომელიც საშუალოდ 6 ადამიანზე იქნება გათვლილი.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერიამ უკვე განახორციელა აერაციის სისტემის პირველი ეტაპი, რაც ზედაპირული აერაციის შადრევნის მოწყობას გულისხმობს.

ტბაში ჩამონტაჟებული აერაციის სისტემა უზრუნველყოფს ტბის წყლის ჟანგბადით გაჯერებას, რაც ტბის ეკოლოგიური დეგრადაციის პროცესს შეაჩერებს.

აერაციის სისტემის შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საფუძველზე განხორციელდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 292 ათას 400 ლარი გამოიყო.

გარდა ამისა, ტბის გასუფთავების მიზნით, უნდა მოხდეს ტბის დათევზიანება სპეციალური ჯიშით, რომელიც წყალმცენარეებით იკვებება. ნურიგელის ტბის სიგრძე 360 მ-ია, სიგანე – 160 მ, მაქსიმალური სიღრმე – 6, 3 მ. ზედაპირის ფართობია 57 600 კვ.მ, ხოლო წყლის სავარაუდო მოცულობა 230 000 კუბური მეტრია.

◎ ეს წვრილმანი არ არის!

სვეტიცხოვლის გალავანს კონდიციონერი აუშლიან...

მოგეხსენებათ, სვეტიცხოველი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და არაჩვეულებრივი ხუროთმოძღვრების ნიმუშია. გულს უხარია, მისასვლელი გზა და გარემო კარგად რომ მოეწყო, არც ჩამოსული ტურისტების ნაკლებობაა, მაგრამ სვეტიცხოვლის გალავანზე, რომელიც ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს დროს აშენდა, რამდენიმე თანამედროვე კონდიციონერია ჩამოკიდებული, რაც ნამეტნავად ეხამუშება თვალს.

რესტავრირებულ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ფასადის მხრიდან არ დაგვაკიდებინეს კონდიციონერები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და აუშნოებს ფასადებსო. სავსებით სწორია, მაგრამ „სვეტიცხოველზე“ კონდიციონერი ხომ ნონსენსია!

შესაძლებელია, ეს კონდიციონერები აქ მომუშავე საეკლესიო პერსონალს სჭირდება, მაგრამ ვისაც ეს ხელეწიფება, სხვანაირად უნდა მოიფიქრონ და უჩინარ ადგილზე მოათავსონ.

ვალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

ხინკლის იტალიელი „ბიძაშვილი“

რა არის პიცა — ამის შესახებ ჩვენში ახლა ყველამ იცის: ესაა კვერი, რომელზეც ნაირ-ნაირი სატენი და ყველია დადებული. კლასიკურ პიცას შეშის ღუმელზე აცხობენ, მისთვის ცომს კი აუცილებლად ხელით ზელავენ.

იტალიურ კაფეში პიცის გარდა მენიუში აუცილებლად აქვთ მაკარონი. არის ძალიან პატარა მაკარონი — **ორზო,** რომელიც ზომითაც და ფორმითაც მოხარშულ ბრინჯს ჰგავს, არის უზარმაზარი — **კანელონი,** რომელშიც ხორცის სატენია და საწებელშია გამომცხვარი. არის კიდევ **რავიოლი,** რომელსაც ბევრნი შეცდომით ხინკლის იტალიელ „ბიძაშვილად“ აღიქვამენ, მაგრამ ეს, არსებითად, ხორცის სატენიანი მაკარონია.

◎ ანეკდოტები

ძალთან კამათის უამრავი ხერხი არსებობს. შენიშვნა: მათგან არც ერთი არ ვარგა.

* * *

სამსახურისგან დასასვენებლად, კაცს კარგი ოჯახი უნდა ჰყავდეს. ამ სამსახურში სიხარულით სიარულისთვის კი აუცილებელია კარგი სიდედრის ყოლა.

* * *

ფოტოატელიეში გაჩხინკული, შეუხედავი ჭაბუკი შედის:

— იცი, ჩემო კარგო, ფოტო სატრფოს მშობლებისთვის გასაგზავნად მინდა, ამიტომ ლამაზი და წარმოსადეგი ბიჭი უნდა გამომაჩინო!

— ვერა, ბატონო, ამას ვერ შევძლებ!

— კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ რომ მინდა, გულში ჩაგიკრა და დიდხანს ვიქვითინო!..

* * *

ჟიჟიკია მიღებაზე ექიმთან:

— სვამთ?

— რა ვიცი, აბა... დაასხი, თუ გინდა!..

* * *

ორი ახალგაზრდა მამა სამშობიაროში შეუშვეს თავიანთი ცოლშვილის სანახავად. მოდიან დერეფანში, აქეთ-იქით ახალგაზრდა სიმპათიური მედდები მიდი-მოდიან, ზოგს ჩვილი დედასთან, ზოგს კიდევ ბოქსში მიჰყავს.

— მაინც, ყველანი რა კარგები არიან ამ ასაკში! — ეუბნება ერთი მეორეს.

— აბა, აბა, ნუღა იტყვი! თან ეს გულზე გახსნილი და მოკლე თეთრი ხალათები როგორ უხდება ყველას!

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

მიხოს ოცნებები გაქრა

როგორ ამასხარავებს უკრაინული პრესა „გარეკილ პირველს“

უკრაინული გამოცემა „ფოკუსი“, საქართველოში ჩატარებულ საპალამენტო არჩევნებს პოლიტოლოგ ევგენი მაგდას სტატიით ეხმაურება.

სულ რაღაც ერთი კვირის წინათ საქართველოს ექს-პრეზიდენტი და ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი მოუთმენლად ელოდა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მომენტს (ალბათ, პრემიერ-მინისტრის რანგში) და უკვე განზრახულიც კი ჰქონდა, რომ ხატია დეკანოიძე შინაგან საქმეთა მინისტრად დაენიშნა, მაგრამ მიხოს ოცნებები გაქრა: პარტიამ, რომლის გამარჯვების იმედი მას ჰქონდა, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში საკმარისი რაოდენობის ხმები ვერ მოაგროვა... მართალია, მიხეილ ნიკოლოზოვიჩის ცოლი სანდრა რულოვსი ალბათ გახდება დეპუტატი, მაგრამ ეს ქმრის სურვილისთვის მაინცდამაინც დიდი შეღავათი არ არის...



მოკლედ, ჯერჯერობით მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში რჩება. გასაგებია, რომ მისთვის, როგორც „მსოფლიო მასშტაბის“ პოლიტიკოსისთვის, ოდესის ოლქი თავისი ეთნოდემოგრაფიული ლანდშაფტითა და რთული ეკონომიკური მდგომარეობით, დნესტრისპირეთთან სიახლოვით, მოსაწყენი ადგილია, მაგრამ სხვა რა გზაა, უნდა შეეგუოს და ადგილობრივ მოსახლეობას დანაპირები უნდა შეუსრულოს. მით უმეტეს, რომ მიხეილ სააკაშვილს, სხვა გუბერნატორებთან შედარებით, უფრო მეტი ბერკეტები აქვს მართვისთვის.

რაც შეეხება სააკაშვილის პერსპექტივას: მკითხველს შევახსენებთ, რომ მას 2018 წლის ნოემბრამდე უკრაინის პარლამენტში (ვერხოვნა რადაში) დეპუტატად არჩევა არ შეუძლია, ხოლო პრეზიდენტად — 2023 წლამდე. სპეციალურად მიხოსთვის კი ქვეყნის კანონმდებლობის შეცვლა საეჭვო საქმეა. მისი პოლიტიკური მომავლისათვის საკვანძო მომენტად უნდა მივიჩნიოთ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან დამოკიდებულება. ერთი მხრივ, სტუდენტობის დროინდელი მეგობრები ბოლო დრომდე ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ, მეორე მხრივ კი, თუ მიხეილ სააკაშვილი მეგობრის კრიტიკას გააგრძელებს, მაშინ მისი პოპულარობა მოიმატებს. თავის დროზე, საქართველოში, მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის პროტეჟედ მოიაზრებოდა, თუმცა შემდეგ იგი „თეთრ მელას“ დაუპირისპირდა. არაა გამორიცხული, რომ მიხეილ ნიკოლოზოვიჩი სამომავლოდ იგივე ტაქტიკას მიმართავს, თანამდებობიდან გადადგომის პროვოცირებას შეეცდება და ამ ნაბიჯს საკუთარი პოპულარობის კატალიზატორად გამოიყენებს.

გაშიშვლებული „რევოლუციური ეტიუდი“

დიდი რუსი პოეტის სერგეი ესენინის ცოლი, ცნობილი მოცეკვავე აისედორა დუნკანი, მაყურებელთა წინაშე ხშირად მკერდშიშველი გამოდიოდა.

ევროპასა და ამერიკაში ტრიუმფალური გამოსვლების შემდეგ, პოეტის ცოლმა რევოლუციური რუსეთის დაპყრობა გადაწყვიტა. მე-20 საუკუნის დასაწყისში იგი რუსეთულ სცენაზე პირველად გამოვიდა უწინდებოდ და ბერძნული ჰიტონივით გვერდებჩაჭრილ გამჭვირვალე შიფონის კაბით. დუნკანი შიშველი სხეულის კულტის თავგადაკლული მქადაგებელი იყო და და მის ჩვენებას არასდროს არ ერიდებოდა.

შოკში ჩავარდნილმა მაყურებელმა ჯერ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, როცა აღმოაჩინა, რომ აისედორა მარტო შიშველი ფეხების ჩვენებით არ „კმაყოფილდება“. მისმა ორმა სრულიად შიშველმა მოწაფემ — ელენე რაბენეკმა და ოლგა დესმონდმა მოსკოველი პუბლიკის სამსჯავროზე ფრედერიკ შოპენის მუსიკაზე შექმნილი თამამი „რევოლუციური ეტიუდი“ წარადგინეს.

მომდევნო წარმოდგენაზე ბილეთის შოვნა წარმოუდგენელი ამბავი იყო. სანუკვარი საშვებისთვის ბრძოლის მსხვერპლი ათობით კაცი გახდა. ბოლოს და ბოლოს მოსკოვის პოლიციამ, დედიშობილა „რევოლუციონერი ამორძალების“ გამოსვლა აკრძალა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3340; ევრო - 2.6064;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.8965;
100 რუბლი - 3.7375; თურქული ლირა - 0.7593;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4568;
1000 სომხური დრამი - 4.9163.

ამინდი 12 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +24
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +22
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +28
თბილისი: ღამე +13, დღე +20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE